განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების „მეხილეობა“, „რძის პროდუქტების წარმოება", „მეფუტკრეობა“ და „სატყეო საქმე“ მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ჯანელიძე

წევრები:

მაია ომიაძე, თამარი ზარანდია, ირმა ანთია, ნათია იორდანიშვილი, ავქსენტი პაპავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების  სახელწოდება: სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: 236098851
**სახე:**

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

**ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):**

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

**გეგმიური**

☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების - "მეხილეობა“, „რძის პროდუქტების წარმოება" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, " და მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტის, საგანმანათლებლო პროგრამების - "მეფუტკრეობა“ და „სატყეო საქმე“ დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტის ზ.ზ) კომპონენტის, ასევე დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტის დ.ა) და დ.ზ) კომპონენტებისა და ე) ქვეპუნქტის ე.ა) კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით 2023 წლის 21 აპრილს (დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. N21) .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| მეხილეობა | 10 | 3 | 2 |
| რძის პროდუქტების წარმოება | 10 | 5 | 0 |
| მეფუტკრეობა | 20 | 7 | 0 |
| სატყეო საქმე | 20 | 5 | 0 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

## IV.  საერთო მიმოხილვა

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის (დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. N21) მისამართზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2023 წლის 10 აპრილის N400425 (ცვლილება ბრძანებაში N417154  13.04.2023) ბრძანების საფუძველზე შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა 2023 წლის 21 აპრილს საგანმანათლებლო პროგრამების - „მეხილეობა“, „რძის პროდუქტების წარმოება" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, და მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის, საგანმანათლებლო პროგრამების - „მეფუტკრეობა“ და „სატყეო საქმე“ დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის, ასევე დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტის დ.ა) და დ.ბ) კომპონენტებისა და ე) ქვეპუნქტის ე.ა) კომპონენტის შესრულების შემოწმება  სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში (დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. N21).

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებებს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას, კოლეჯში განხორციელებული ბოლო ვიზიტის (2022 წლის ივნისი) დასკვნებსა და საოქმო გადაწყვეტილებებს, შედგა დისტანციურად ჯგუფის შეხვედრა(Zoom-ის მეშვეობით) სადაც შეჯერდა მოსამზადებელი სამუშაო და შედგა ვიზიტის დღის წესრიგი.

ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ შეჯერებული დღის წერიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში შედგა შეხვედრა დაწესებულების წარმომადგენლებთან: ჩატარდა გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფაზე, დაწესებულების ადამიანური რესურსების, მატერიალური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერებულ იქნა პროგრამებთან მიმართებაში დაწესებულების სასწავლო გარემო/ ინფრასტუქტურა, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები. ასევე, შემოწმდა კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

ბიბლიოთეკა და ჯგუფი გაესაუბრა პასუხისმგებელ პირს; განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტზე.

კოლეჯის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს ამომწურავად უპასუხეს დასმულ შეკითხვებს. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. ვიზიტის დასრულებისას მიგნებები შეჯერდა კოლეჯის დირექტორთან ონლაინ Zoom პლატფორმის გამოყენებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

## V. ავტორიზაციის მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **4) ადამიანური რესურსები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 4.1) პერსონალის და პროცესების მართვა | | სრულ შესაბამისობაშია |
| 4.2) პერსონალის განვითარება | | სრულ შესაბამისობაშია |
| **5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | | სრულ შესაბამისობაშია |

## VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილების მაგალითები არ გამოვლენილა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

### IV სტანდარტი

**ინდიკატორი 4.1.1.1** „მეტწილადაა დაკმაყოფილებული, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები რიგ შემთხვევებში საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ: - საქმისმწარმოებლის პოზიციისათვის ერთ-ერთ საკვალიფიკაციო მოთხოვნად გაწერილია „უმაღლესი განათლება ან/და სერტიფიცირება", სასურველია კოლეჯმა, დააკონკრეტოს რას გულისხმობს სერტიფიცირებაში, რადგან გრადაცია უმაღლეს განათლებასა და სერტიფიცირებას შორის საკმაოდ დიდია, მით უმეტეს, რომ კვალიფიკაციის ველში მოთხოვნილია ფილოლოგია, სამართალმცოდნეობა, ან/და ოფისის მენეჯერის, საოფისე საქმის სპეციალობა. ფილოლოგიის, სამართალმცოდნეობის უმაღლესი განათლების ფლობა არ გულისხმობს საქმისწარმოების საკითხების ცოდნას. შესაბამისად, რეკომენდებულია კოლეჯმა დააზუსტოს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები; - რიგი პოზიციების შემთხვევაში, კოლეჯის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შეიძლებოდა იმგვარად განსაზღვრულიყო, რომ კოლეჯს შეძლებოდა შესაბამისი კომპეტენციის კადრების აყვანა, მაგალითად: დამლაგებლის/მძღოლის საკვალიფიკაციო მოთხოვნად მითითებულია პროფესიული ან/და სრული ზოგადი განათლება, ხოლო კოლეჯის ერთ-ერთი მძღოლი ფლობს საბაზო (არასრული საშუალო) განათლებას, რის გამოც ის ვერ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნას; - ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით რიგ შემთხვევაში არასწორადაა გაწერილი ანგარიშგების კომპონენტიც, მაგალითად, მძღოლი ანგარიშგებას ახდენს დირექტორის წინაშე, მაშინ, როდესაც მძღოლის უშუალო ხელმძღვანელი სამეურნეო მართვის მენეჯერია. მძღოლის ერთ-ერთ ფუნქციად კომპეტენციის ფარგლებში შემოსული კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი პასუხის მომზადებაა.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04- 55) დამტკიცებული „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის" ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაო აღწერილობების და ფუნქცია მოვალეობების გადახედვა/დარეგულირება, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 ივნისი" - **რეკომენდაცია შესრულებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

**ინდიკატორი 4.1.1.3** „მეტწილადაა დაკმაყოფილებული, მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებში ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ უნდა გადახედოს შიდა მარეგულირებელ აქტს - „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას" და დოკუმენტის 3.9 მუხლის დებულებები მოიყვანოს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. კერძოდ, კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის N04-03 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის" 3.9 მუხლში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი - „თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობას წერილობითი სახით ასაბუთებს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი და დაურთავს კოლეჯის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენილ პროგრამის პროექტს", ვინაიდან ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით თავად პროცესი ექვემდებარება მონიტორინგს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას წერილობითი სახით ასაბუთებს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, წარმოადგენს ინტერესთა კონფილიქტს, შესაბამისად მოცემული დებულება წინააღმდეგობაშია 4.1.1.3 სტანდარტის მოთხოვნებთან. მოცემული აქტივობისათვის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებული „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის" ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა/გაუმჯობესება/ახალის შექმნა, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 ივნისი" - **რეკომენდაცია შესრულებულია.**

**ინდიკატორი 4.1.2.2** „არ არის დაკმაყოფილებული, დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები ვერ უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, კერძოდ კოლეჯის პერსონალის ნაწილის კვალიფიკაცია არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, ამასთან ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებაში საკადრო ცვლილების ორი ფაქტი დაფიქსირდა (შრომის უსაფრთხოების სპეციალისტისა და ინკლუზიური განათლების მართვის სპეციალისტის შემთხვევაში), ერთ შემთხვევაში დაწესებულებამ განახორციელა დასაქმებულის გადაყვანა ერთი პოზიციდან მეორეზე, ხოლო მეორე შემთხვევაში - აიყვანა ახალი კადრი. საკადრო ცვლილებების დასტურად წარმოდგენილია პერსონალის განცხადებები, თუმცა ცალსახაა, რომ პროცესი დაწესებულების მოთხოვნით განხორციელდა, ვინაიდან არც ერთი მათგანი არ აკმაყოფილებდა დაკავებული თანამდებობისათვის კოლეჯის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, ამასთან საყურადღებოა, რომ კოლეჯის მიერ ახლადაყვანილ ინკლუზიურიგანათლების მართვის სპეციალისტს უმაღლესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

განათლება აქვს, თუმცა დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრული სამუშაო გამოცდილება დოკუმენტით არ უდასტურდება.“ -**რეკომენდაცია შესრულებულია.**

**ინდიკატორი 4.2.1.1** „მეტწილადაა დაკმაყოფილებული, კოლეჯს არ განუხორციელებია პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა.“- **რეკომენდაცია შესრულებულია.**

## V სტანდარტი

**ინდიკატორი 5.1.1.5** „მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, თუმცა დაწესებულებაში პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით, კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა ჰყავდეს არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რისთვისაც კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04- 55) დამტკიცებულია „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია მატერიალური, ფინანსური რესურსის გაუმჯობესება, უსაფრთხოების ნორმების დაცვის გაუმჯობესება, ხოლო ქვეატივობად მოცემულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის გადამზადება, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 აგვისტო“ - **რეკომენდაცია შესრულებულია.**

**ინდიკატორი 5.1.2.3** „მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი, თუმცა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული არ არის კომპეტენტურ ორგანოსთან. აღნიშნულთან დაკავშირებით, კოლეჯმა წარმოადგინა წერილი, რის მიხედვითაც დასტურდება, რომ კოლეჯის მოთხოვნა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული იყოს კომპეტენტურ ორგანოსთან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში რეგისტრირებულია შემდეგი ნომრით №1513980; 07.06.2022წ. ამასთან, კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებულია „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის ერთ-ერთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:



აქტივობად განსაზღვრულია მატერიალური, ფინანსური რესურსის გაუმჯობესება, უსაფრთხოების ნორმების დაცვის გაუმჯობესება, ხოლო ქვეატივობად მოცემულია უსაფრთხოების ნორმების გაუმჯობესება, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 აგვისტო“ - **რეკომენდაცია შესრულებულია.**

**II სტანდარტი**

**პროგრამებისათვის საერთო რეკომენდაცია:**
**განმავითარებელი რეკომენდაცია ინდიკატორი 2.3.1.2** - რეკომენდებულია „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული) შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა“-ში გაიწეროს რა შემთხვევაში ხდება პროგრამაში ცვლილებების განხორციელება, რა ტიპის ცვლილებების განხორციელების დროსაა დაწესებულება ვალდებული აღნიშნული აცნობოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და რა ვადაში, რა ვალდებულება აქვს დაწესებულებას დუალურ პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დროს, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში როგორ იქცევა დაწესებულება, იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი მიიღებს გადაწყვეტილებას შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, განახორციელოს შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ მასზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის -**რეკომენდაცი**ა **არ არის შესრულებული**

**განმავითარებელი რეკომენდაცია ინდიკატორი 2.4.2.3 –** „რეკომენდებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებლ წესში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა „შევსებული შეფასების ინსტრუმენტების“ ნაცვლად ჩანაცვლდეს „შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები““ -**რეკომენდაცი**ა **არ არის შესრულებული.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

პროგრამა „სატყეო საქმე“

**ინდიკატორი 2.1.1.4.** „ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული, რადგან საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, ვერ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ გადახედოს და განაახლოს სასწავლო რესურსი, ასევე მოდულებში შეიტანოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები. პრაქტიკული სწავლების უზრუნველსაყოფად დამატებით გააფორმოს ხელშეკრულება/მემორანდუმი მავნებელ-დაავადების და ტყის აღდგენის პროფილურ დაწესებულებებთან. ადგილზე განთავსდეს ან უზრუნველყოფილ იქნას სწავლების შესაფერის კონკრეტულ პერიოდში ადგილზე სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს მოდულში მითითებული ყველა ტექნიკური რესურსი. შემოწმებულ იქნა მატერიალური რესურსების ფიზიკური არსებობა და საკმარისობა. პროგრამაში აღწერილი მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები ძირითადად შესაბამისობაშია დაწესებულებაში არსებულ რესურსებთან. გაანალიზებულ იქნა სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსიც, რომლით სარგებლობის გარანტიებიც პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის შესაბამისი დოკუმენტით - მემორანდუმით არის გამყარებული, თუმცა ტყის აღდგენის და მავნებელ- დაავადებებთან ბრძოლის ნაწილში სრულყოფილი ცოდნის და უნარ-ჩვევბის მიღების მიზნით მიზანშეწონილია კოლეჯმა უზრუნველყოს შესაბამის ორგანიზაციებთან მემორანდუმის/ხელშეკრულების გაფორმება. შემოწმების პროცესში ადგილზე არ იყო პროგრამის მატერიალურ რესურსში მითითებული მანქანა-დანადგარები (კოლეჯის შესაბამისმა წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სწავლების პროცესი უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი ტექნიკით თუმცა ამის დამადასტურებელი დოკუმენტები არ წარმოუდგენიათ) წარმოდგენილი რესურსები პრიორიტეტების შესაბამისად საჭიროებს რაოდენობრივ გაზრდას (ორთითა, სიმაღლმზომი) და მოძველებული ტექნიკის ჩანაცვლებას (სანავიგაციო ხელსაწყო) ასეთ შემთხვევაში საკმარისი იქნება ერთდროულად 20 პროფესიული სტუდენტის სწავლებისათვის.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, თუ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება სტუდენტების ზღვრული ოდენობით, თუმცა რეკომენდებულია ტყის აღდგენის და მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის ნაწილში სრულყოფილი ცოდნის და უნარ-ჩვევების მიღების მიზნით კოლეჯმა უზრუნველყოს შესაბამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:



ორგანიზაციებთან მემორანდუმის/ხელშეკრულების გაფორმება. აგრეთვე საჭიროა დამტკიცდეს შესაბამისი ტექნიკური საშუალებების არსებობა და სწავლების პროცესში გამოყენება.“- **რეკომენდაცია შესრულებულია.**

**2.2.1.1. ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული,** რადგან პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით- **შესრულებულია.**

## პროგრამა „მეხილეობა“

**ინდიკატორი 2.4.1.5** „არ არის დაკმაყოფილებული, დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით, ინდიკატორი ფასდება როგორც ,,მეტწილ შესაბამისობაში“, დაწესებულებამ დაგეგმილ ვადაში უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ამოცანების შესრულება. კოლეჯს მემორანდუმები აქვს გაფორმებული 2 ფიზიკურ პირთან. სასწავლო პროცესი არ არის ორგანიზებული, რადგან კომუნიკაცია სასწავლო მენეჯერსა და პრაქტიკის კომპინენტს შორის , ასევე პროგრამის ხელმძღვანელსა და პრაქტიკისმენეჯერს შორის არ არის შესაბამისი. გასაუბრების დროს პრაქტიკის მენეჯერმა აღნიშნა. რომ ორჯერ იყო მხოლოდ პრაქტიკისობიექტზე. ასევე არ იცოდა პრაქტიკის ობიექტებზე არსებული ცვლილებების შესახებ, რაც ადასრურებს პროცესის არაორგანიზებულობას. ასევე თანამშრომლობაზე უარს აცხადებენ პრაქტიკის ობიექტებიც“- **რეკომენდაცია შესრულებულია.**

## პროგრამა „მეფუტკრეობა“

**ინდიკატორი 2.2.1.1** -დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით, ინდიკატორი ფასდება როგორც ,,მეტწილ შესაბამისობაში“, დაწესებულებამ დაგეგმილ ვადაში უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ამოცანების შესრულება.
დაწესებულება ვერ ახორციელებს ორ სწავლის შედეგს - ფუტკრის შხამის მიღება, რადგან არ აქვთ შხამის ასაღები აპარატი და მერქნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

დამუშავება, რადგან არ აქვთ სადურგლო სახელოსნო, იარაღები განთავსებულია დახურულ ოთახში, სადაც ვერ მოხდება მისი გამოყენება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორიარ არის დაკმაყოფილებული, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები ვერ მიიღწევა დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით.-**რეკომენდაცია შესრულებულია.**

### პროგრამა „რძის პროდუქტების წარმოება“

**ინდიკატორი 2.2.1.4** „საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, თუმცა რეკომენდებულია პროგრამის ხელმძღვანელმა გაიაროს შესაბამის აკრედიტირებულ ორგანოებში გადამზადების კურსი სურსთის უვნებლობის სფეროში“- **რეკომენდაცია არ არის შესრულებული,** თუმცა შეუსრულებლობა არ იწვევს არანაირ საფრთხეს პროგრამის განხორციელებისთვის.

## VIII. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

### პროგრამა „რძის პროდუქტების წარმოება“

**2.2.1.1. ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული,** ვინაიდან: პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს ერთი პარტნიორი „რკ.ყვარის მთა“, რომელიც დაკეტილი იყო. ამიტომ ვერ მოხერხდა ვერც დათვალიერება, ვერც წარმომადგენელთან გასაუბრება, ამასთან ორგანიზაციასთან გაფორმებულ ხელშეკრულებას არ ჰქონდა მატერიალური რესურსის დანართი, ვერ დადგინდა რამდენად არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

შესაძლებელი აღნიშნულ ობიექტზე პრაქტიკული შედეგების მიღწევა **პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**.

**2.4.1.3. ინდიკატორი სრულად არ არის დაკმაყოფილებული, ვერ დგინდება სასწავლო პროცესი ითვალისწინებს თუ არა სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.** ვინაიდან ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება, ვერ დადგინდა პრაქტიკული კომპონენტის სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. შესაბამისად, აღნიშნული კომპონენტი შეფასდა უარყოფითად.

**2.4.1.6. ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული. სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.** აღნიშნული პროგრამა ხორციელდება დუალურად და სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% -ზე მეტი მიიღწევა პრაქტიკის ობიექტზე, იქიდან გამომდინარე, რომ ვერ მოხერხდა პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება(დაკეტილი იყო), ვერ დგინდება მიმდინარეობს თუ არა პრაქტიკის ობიექტზე სწავლება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.

## IX. რეკომენდაციების შეჯამება

**ზოგადი განმავითარებელი რეკომენდაცია:** ვინაიდან კოლეჯს აქვს ფილიალები სხვადასხვა რეგიონში, რომლებიც საკმაოდ დაშორებულია ერთმანეთისგან და ფილიალებში ადმინისტრაციული პერსონალი შეზღუდული რაოდენობითაა წარმოდგენილი, სასურველია, გამოყენებული იქნას საქმისწარმოებაში ერთიანი მიდგომები. კერძოდ, კონსოლიდირებული მარეგულირებელი დოკუმენტების თუ საგანმანათლებლო პროცესში საჭირო სხვა მასალის, მტკიცებულებების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი იქნას ერთიანი საკომუნიკაციო სისტემით. მაგალითად, დოკუმენტაცია ატვირთული იყოს ონლაინ პლატფორმაზე, სადაც კოლეჯის თანამშრომლებს კომპეტენციის ფარგლებში ექნებათ წვდომა. ეს გააიოლებს საქმისწარმოებას და ვთქვათ, მსგავსი ვიზიტის დროს უფრო მობილურს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:



მოქნილს გახდის ინფორმაციის მიწოდებას დაინტერესებული მხარეებისათვის. ასევე მონიტორინგის, თუ სხვა საქმისწარმოების დროს სასურველია წინასწარ იქნას ექსპერტებისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია მობილიზებული და მოწესრიგებული.

**განმავითარებელი რეკომენდაციები:**

**ინდიკატორი 2.1.1.2.-** სასურველია, 2023 წლის მიღებისათვის „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესში“ ჩასწორდეს შეფასების თარიღის შესახებ აპლიკანტთა ინფორმირების ვადები.

**ინდიკატორი 2.1.1.8.** სასურველია, დაწესებულებამ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილებით დამტკიცებული რეგულაციის, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ თანახმად შესაბამისობაში მოიყვანოს პროგრამების ძირითად დოკუმენტებში მითითებული ჩანაწერი კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ და კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელ პირობად გაწეროს, პროგრამით განსაზღვრული კრედიტების ათვისება, შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

**ინდიკატორი** 2.2.1.6 სასურველია, დაწესებულებამ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაციაში, აუცილებელ კომპონენტად გაითვალისწინოს ინდ. გეგმის შემუშავების პროცესში სსსმ ან/და შშმ პროფესიული სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობა.

**ინდიკატორი 2.3.1.1** სასურველია, „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული) შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა“-ში გაიწეროს რა შემთხვევაში ხდება პროგრამაში ცვლილებების განხორციელება, რა ტიპის ცვლილებების განხორციელების დროსაა დაწესებულება ვალდებული აღნიშნული აცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და რა ვადაში, რა ვალდებულება აქვს დაწესებულებას დუალურ პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დროს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:



**ინდიკატორი 2.4.1.2.** სასურველია, გადაიხედოს მიდგომა, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, დოკუმენტში „შუალედური შეფასების ჩატარების წესი და პირობები მოდულურ, დუალურ და ინტეგრირებულ პროგრამებზე" (მუხლი 14.) ისე, რომ მეტად იქნეს გათვალისწინებული სტუდენტის უფლება.

**ინდიკატორი 2.4.1.2.** სასურველია, დაზუსტდეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების პირობები, მათ შორის სტატუსის შეჩერების ერთ-ერთ დამატებით გარემოებად გაიწეროს დაწესებულებასა და სასწავლო საწარმოს შორის ხელშეკრულების შეწყვეტის გარემოება 416 დადგენილების შესაბამისად.

**ინდიკატორი 4.1.1.3.** გადაიხედოს ხარისხის მართვის სპეციალისტის ანგარიშგების ვალდებულებები.(იხილეთ ინდიკატორის აღწერა);სასურველია დაწესებულებამ გადახედოს ხარისხის მართვის სპეციალისტის ანგარიშგების ვალდებულებებს.(იხილეთ ინდიკატორის აღწერა);

**ინდიკატორი 4.1.2.2.** სასურველია, გადაიხედოს კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიზანშეწონილობა; პოზიციებისათვის საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, შესყიდვების სპეციალისტი საკვალიფიკაციო მოთხოვნებში დაიშვას პროფესიული განათლებაც, ვინაიდან აღნიშნული მიმართულებით არსებობს პროფესიული კვალიფიკაციები, კოლეჯი თავადვე უნდა ახდენდეს პროფესიული განათლების მქონე ადამიანების დასაქმების წახალისებას; საკვალიფიკაციო მოთხოვნებში მითითებული კომპიუტერული პროგრამების, უცხო ენების თუ ნორმატიული აქტების ცოდნა პირად საქმეებში დადასტურებული იქნას შესაბამისი სერთიფიკატით/დიპლომით/დოკუმენტით ან დაწესებულებამ თავად უზრუნველყოს გასაუბრების ან შიდა ტესტირების დოკუმენტირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:



## X. სტანდარტების შეფასება

### 4. ადამიანური რესურსები

**4.1 პერსონალის და პროცესების მართვა**

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას;

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ორგანიზაციული სტრუქტურა, შესაბამისი საშტატო ნუსხა, რომელიც მოიცავს 34 პოზიციას/თანამდებობას და 69 საშტატო ერთეულს. კოლეჯის თანამშრომლები იდენტიფიცირებულია საქმიანობის სამი ძირითადი მიმართულებით: დირექცია, ადმინისტრაცია, ტექნიკური პერსონალი:

**დირექცია:**

1. დირექტორი
2. დირექტორის მოადგილე

**ადმინისტრაცია:**

3. მთავარი ბუღალტერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

4. ხარისხის მართვის მენეჯერი
5. ხარისხის მართვის სპეციალისტი
6. პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი
7. სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი
8. შესყიდვების სპეციალისტი
9. იურისტი
10. საქმისმწარმოებელი
11. მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი
12. სასწავლო პროცესის მენეჯერი
13. სასწავლო- საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი
14. რეესტრის წარმოების სპეციალისტი
15. ქსელის ადმინისტრატორი
16. ბიბლიოთეკარი
17. ლოჯისტიკის სპეციალისტი
18. სამეურნეო მართვის მენეჯერი
19. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
20. ბუღალტერი
21. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
22. ადამიანური რესურსების მენეჯერი
23. აგრარული მიმართულების მენეჯერი
24. ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი
25. სასწავლო პროცესისი მონიტორინგის სპეციალისტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

26. მექანიზატორი

**ტექნიკური პერსონალი:**

27. მედდა
28. დამლაგებელი
29. დამლაგებელ-დიასახლისი
30. დამხმარე თანამშრომელი
31. მძღოლი
32. მძღოლი
33. დაცვის უფროსი
34. დაცვის თანამშრომელი

საშტატო პოზიციების ძირითადი ნაწილის სამუშაო ადგილს წარმოადგენს კოლეჯის ცენტრალური ფილიალი. ხოლო, თიანეთში წარმოდგენილია სასწავლო პროცესის მენეჯერი, მედდა და ტექნიკური პერსონალი. ასევე პროგრამის ხელმძღვანელები და მოდულის განმახორციელებელი პირები. კოლეჯის საქმიანობის ყველა მიმართულება უზრუნველყოფილია შესაბამისი სტრუქტურული და საშტატო ერთეულებით.

**ინდიკატორი 4.1.1.1. შეფასდა შესაბამისად, კოლეჯის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.**

2. პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია კოლეჯის წესდებაში, დოკუმენტში „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლება-მოვალეობები“ და პროცესების მართვის შესახებ გამოცემულ შიდა დოკუმენტაციაში. პერსონალის გარკვეულ მოვალეობებს მოიცავს ასევე შრომითი ხელშეკრულებებიც. დოკუმენტებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები არ დუბლირდება სხვადასხვა პოზიციის/იერარქიის პირებზე და სრულად მოიცავს დაწესებულების ძირითად და დამხმარე პროცესების შესრულებას, უზრუნველყოფს სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის 2020 – 2026 წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

სტრატეგიული განვითარების გეგმისა (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-126 30.07.2020 ცვლილება 04-38 09/03/2022) და 2023 წლის სამოქმედო გეგმის მიზნების, ამოცანების და აქტივობების შესრულებას. მიზნებისა და ამოცანებზე პასუხისმგებელი პირები დაკონკრეტებულია და ფუნქციის შესაბამისად არის განსაზღვრული. საკუთრ ფუნქცია-მოვალეობებს თანამშრომლები იცნობებ , რაც დადასტურდა მათთან გასაუბრებისას.

**ინდიკატორი 4.1.1.2. შეფასდა შესაბამისად, კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.**

**3.** კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულებია ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის სპეციალისტი. ხარისხის მართვის მენეჯერის მოვალეობებია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და პროცედურების შემუშავება და დანერგვა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემის განსაზღვრა, მონიტორინგი და პერიოდული შეფასება, საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების დინამიკის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და შეფასების საფუძველზე სამოქმედო გეგმის შემუშავება საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების პროცესის მართვა, ავტორიზაციის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის პროცესში საჭირო რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების იდენტიფიცირება, მათი შეგროვება და ანალიზი; საჭიროების შემთხვევაში, ავტორიზაციის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე ანგარიშების მომზადება. აღნიშნულ პროცესებში თანამონაწილეობს ხარისხის მართვის სპეციალისტიც.

კოლეჯს შემუშავებული აქვს „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ რომლის მიზანია ეფექტიანი შიდა ხარისხის სისტემის შექმნა და მუდმივი გაუმჯობესება, კოლეჯში სწავლებისა და შეფასების თანამედროვე და ეფექტური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება და საგანმანათლებლო და თანმდევი პროცესების დაგეგმვის, შეფასებისა და მუდმივი განვითარების ხელშეწყობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

ხარისხის მართვის მენეჯერი საქმიანობას ახორციელებს ხარისხის მართვის სპეციალისტის, სასწავლო პროცესის მენეჯერის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, რეესტრის წარმოების სპეციალისტის, პრაქტიკის მენეჯერის, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის, ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებისა და კოლეჯის პროფესიული მასწავლებლების ჩართულობით.

ხარისხის მართვის მენეჯერი თავის საქმიანობას ეწევა ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით. გეგმის მიხედვით, ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს დაწესებულებაში მიმდინარე საქმიანობის მონიტორინგს და ადგენს პროცესების სტანდარტებთან შესაბამისობას.

წინა ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილ იქნა ინტერესთა კონფლიქტი კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის N04-03 ბრძანებით დამტკიცებულ ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესთან'' მიმართებაში. კერძოდ „ 3.9 მუხლში მოცემული იყო შემდეგი ჩანაწერი - „თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობას წერილობითი სახით ასაბუთებს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი და დაურთავს კოლეჯის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენილ პროგრამის პროექტს", ვინაიდან ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით თავად პროცესი ექვემდებარება მონიტორინგს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას წერილობითი სახით ასაბუთებს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა როგორც ინტერესთა კონფლიქტი, შესაბამისად მოცემული დებულება მოვიდა წინააღმდეგობაში 4.1.1.3 სტანდარტის მოთხოვნებთან. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებული „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის" ერთ-ერთ აქტივობად განისაზღვრა კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა/გაუმჯობესება/ახალის შექმნა, აქტივობის შესრულების ვადად განისაზღვრა 2022 წლის 30 ივნისი. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შესაბამისობის რეკომენდაცია. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა შესრულდა თუ არა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გაწერილი ეს აქტივობა. კოლეჯმა ბრძანება 04-135(23 აგვისტო 2022) ცვლილება შეიტანა „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში" და პუნქტი 3.9. ჩამოყალიბდა შემდეგნაირად „თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას წერილობითი სახით ასაბუთებს კოლეჯში შექმნილი პროგრამის შემუშავების ჯგუფი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

და დაურთავს კოლეჯის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენილ პროგრამის პროექტს.“ აღნიშნულის გათვალისწინებით **რეკომენდაცია შესრულებულია.**

დოკუმენტში, „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები,“ გაწერილია, რომ ხარისხის მართვის სპეციალისტი ამზადებს კვარტალურ ანგარიშს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს და დირექტორის არყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოადგილეს. ვინაიდან ხარისხის მართვის სპეციალისტი უშუალოდ ექვემდებარება ხარისხის მართვის მენეჯერს, ანგარიშების წარდგენაც სასურველია, მისთვის ხდებოდეს, რათა უზრუნველყოფილ იქნას ამ ორი პოზიციის ურთიერთშეთანხმებული მუშაობა, თანამდებობრივი დაქვემდებარების გათვალისწინებით.

**განმავითარებელი რეკომენდაცია:** გადაიხედოს ხარისხის მართვის სპეციალისტის ანგარიშგების ვალდებულებები.

**ინდიკატორი 4.1.1.3. შეფასდა შესაბამისად, კოლეჯში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**
1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის №04-65 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები“, ცვლილება 04-135(23 აგვისტო 2022);
2. კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესით“;
3. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის №04-26 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით“, ბოლო ცვლილება N04-45 09.03.2022;
4. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის №04-152 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:



წესით;“
5. კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით;
6. კოლეჯის ორგანიზაციული სტრუქტურით;
7. ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმითა და გემის შესრულების ანგარიშით;
8. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის N04-03 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესით“;
9. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებული „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით“;
10. პერსონალთან გასაუბრებით.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. კოლეჯში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. დაწესებულებაში, ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული მოქმედი დოკუმენტებია: „პერსონალის მართვის პოლიტიკა“(დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №4-97,26/06/2020, ბოლო ცვლილება №04-68, 23.03.2023), „შინაგანაწესი“(დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №04-40 31.08.201, ბოლო ცვლილება ბრძანება №04 - 66 23.03.2023) და „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლება-მოვალეობები“( დამტკიცებული დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის №04-65 ბრძანებით, ცვლილება 04-135(23 აგვისტო 2022).

კოლეჯის შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის“, საქართველოს კანონის „პროფესიული განათლების შესახებ“ და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის 115/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ- ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის'' წესდების და მოქმედი კანონმდებლობის ნორმათა საფუძველზე. შინაგანაწესი არეგულირებს პერსონალთან სამართლებრივ ურთიერთობებს. დოკუმენტში განსაზღვრულია დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლებები და ვალდებულებები, დისკრიმინაციისა და იძულებითი შრომის აკრძალვასთან დაკავშირებული კოლეჯის მიდგომები, სამუშაო დრო და სამუშაო დღის განმავლობაში შესვენების დრო, სამსახურში გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში რეაგირების მექანიზმები, შვებულება და უქმე დღეები, მივლინებები, პერსონალის წახალისებისა და დისციპლინური მექანიზმების გამოყენების წესები, შრომის უსაფრთხოების, საქმიანობის შეფასებისა და სხვა საკითხები. კოლეჯის შინაგანაწესით განსაზღვრული მექანიზმები არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსის მოთხოვნებს.პერსონალის ზეგანაკვეთური მუშაობის ანაზღაურების წესი ასევე განსაზღვრულია შინაგანაწესით, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები თანხვედრაშია დაწესებულების შინაგანაწესთან და მათში ასახულია შრომის კოდექსით გათვალისწინებული არსებითი პირობები.

პერსონალის მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია, განთავსებული კოლეჯის ვებ-გვერდზე. შინაგანაწესით გათვალისწინებულია დოკუმენტში განხორციელებული ცვლილებების შესახებ პერსონალის ინფორმირება, რისთვისაც განსაზღვრულია შიდა კომუნიკაციის ფორმები. კომუნიკაცია ძირითადად ხდება შიდა კორპორატიული ელექტრონული ფოსტების, ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის გამოყენებით, საჭიროებისას იგეგმება შეხვედრები.

დაწესებულებაში წელიწადში ერთხელ მიმდინარეობს პერსონალის კმაყოფილების კვლევა და კვლევის შედეგებს იყენებს შემდგომი საქმიანობისათვის. პერსონალთან გასაუბრებით და პირადი საქმეებით დასტურდება, რომ ადამიანური რესურსის მართვასთან დაკავშირებული საკითხები წარმოებს შინაგანაწესის თანახმად და პერსონალი იცნობს დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებს, რაც დასტურდება პერსონალთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

**ინდიკატორი 4.1.2.1 შეფასდა შესაბამისად, პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**

2. პერსონალის მოზიდვის მიზნით დაწესებულება იყენებს სხვადასხვა ფორმებს: ვაკანსიების განთავსება ვებ-პორტალებსა ან/და სოციალურ ქსელებში, დასაქმებული პერსონალის პირადი კონტაქტების გამოყენება. კოლეჯში პერსონალის აყვანა შესაძლებელია როგორც კონკურსის, ისე პირდაპირი დანიშვნის გზით. პერსონალის აყვანის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი. შერჩეულ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელშიც ასახულია საკანონმდებლო სავალდებულო მოთხოვნები და მოიცავს დასაქმებულისთვის სამუშაო მოვალეობების შესასრულებლად საჭირო ინფორმაციას. პერსონალთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსებულია პირად საქმეებში.
კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის N04-65 ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში საშტატო /შტატგარეშე ნუსხით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და უფლებამოსილებების“, რომელშიც ბოლო ცვლილება განხორციელებულია N04-56 09.03.2023. აღნიშნული დოკუმენტი ადგენს კოლეჯის სტრუქტურით განსაზღვრული პოზიციების დასაკავებლად საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, თანამშრომელთა იერარქიასა და ფუნქციურ კავშირებს, უფლება/მოვალეობებს.
აღსანიშნავია, რომ ამ დოკუმენტთან დაკავშირებით წინა ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა წარმოდგენილი რეკომენდაცია. კერძოდ: „საქმისმწარმოებლის პოზიციისათვის ერთ-ერთ საკვალიფიკაციო მოთხოვნად გაწერილია „უმაღლესი განათლება ან/და სერტიფიცირება“, სასურველია, კოლეჯმა, დააკონკრეტოს რას გულისხმობს სერტიფიცირებაში, რადგან გრადაცია უმაღლეს განათლებასა და სერტიფიცირებას შორის საკმაოდ დიდია, მით უმეტეს, რომ კვალიფიკაციის ველში მოთხოვნილია ფილოლოგია, სამართალმცოდნეობა, ან/და ოფისის მენეჯერის, საოფისე საქმის სპეციალობა. ფილოლოგიის, სამართალმცოდნეობის უმაღლესი განათლების ფლობა არ გულისხმობს საქმისწარმოების საკითხების ცოდნას. შესაბამისად, სასურველია, კოლეჯმა დააზუსტოს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;- რიგი პოზიციების შემთხვევაში, კოლეჯის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შეიძლებოდა იმგვარად განსაზღვრულიყო, რომ კოლეჯს შეძლებოდა შესაბამისი კომპეტენციის კადრების აყვანა, მაგალითად: დამლაგებლის/მძღოლის საკვალიფიკაციო მოთხოვნად მითითებულია პროფესიული ან/და სრული ზოგადი განათლება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

ხოლო კოლეჯის ერთ-ერთი მძღოლი ფლობს საბაზო(არასრული საშუალო) განათლებას, რის გამოც ის ვერ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნას;- ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით რიგ შემთხვევაში არასწორადაა გაწერილი ანგარიშგების კომპონენტიც, მაგალითად, მძღოლი ანგარიშგებას ახდენს დირექტორის წინაშე, ეს მაშინ, როდესაც მძღოლის უშუალო ხელმძღვანელი სამეურნეო მართვის მენეჯერია. მძღოლის ერთ-ერთ ფუნქციად კომპეტენციის ფარგლებში შემოსული კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი პასუხის მომზადებაა.“

როგორც ექსპერტთა დასკვნიდან (სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა-2022) ირკვევა, კოლეჯში ვიზიტის დროს, დაწესებულებამ წარმოადგინა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომელშიც ბოლო ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 10 ივნისის N04-94 ბრძანებით. დოკუმენტში შეიცვალა სახელწოდება და ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით: „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები“, ხოლო შინაარსში არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა. დასკვნაში ასევე ვკითხულობთ, რომ „კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ შიდა მარეგულირებელი აქტების გადახედვის პროცესი გრძელდება და შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში დასრულდება.“

ექსპერტებმა შევისწავლეთ აღნიშნული დოკუმენტი (წინა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციის შესრულების ნაწილშიც). გამოვლინდა შემდეგი გარემოებები: დოკუმენტში გაწერილია ყველა ადმინისტრაციული თანამდებობისათვის, ტექნიკური პერსონალის, პროგრამის განმახორციელებელი პირისა და პროგრამის ხელმძღვანელისადმი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლება-მოვალეობები. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, მძღოლის მოთხოვნებიდან ამოღებულ იქნა ჩანაწერი, რომლის მიხედვით მძღოლი ანგარიშგებას ახდენდა დირექტორის წინაშე, რეკომენდაციით ანგარიშგება უნდა მომხდარიყო მძღოლის უშუალო ხელმძღვანელის სამეურნეო მართვის მენეჯერის მიმართ, ბოლო რედაქციით ანგარიშგება საერთოდ აღარ არის გათვალისწინებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

აღნიშნულ დოკუმენტში, საკვალიფიკაციო მოთხოვნებში, გაწერილია რიგი ნორმატიული აქტების, უცხო ენის და კომპიუტერული პროგრამების ცოდნის ვალდებულება/სასურველობა. მაგალითად, დამლაგებლისადმი(იგივეა თითქმის ყველა პოზიციისადმი) წაყენებული სავალდებულო მოთხოვნაა საქართველოს კონსტიტუციის და საქართველოს ორგანული კანონის ,,შრომის კოდექსი'' ცოდნა; ასევე, მთავარი ბუღალტრისადმი და ბუღალტრისადმი წაყენებული მოთხოვნაა კომპიუტერული პროგრამების ძალიან კარგად ცოდნა, არ არის დაზუსტებული კონკრეტულად რომელი კომპიუტერული პროგრამების ცოდნა მოითხოვება.
პირადი საქმეების შესწავლისას საკანონმდებლო აქტების, კომპიუტერული პროგრამების, თუ უცხო ენის ფლობის მტკიცებულება არ იყო წარმოდგენილი, აღნიშნულის შესახებ გასაუბრებისას კოლეჯის წარმომადგენლებმა გვიპასუხეს, რომ აღნიშნული კომპეტენციის დადგენა ხდება გასაუბრებისას.

რიგი პოზიციებისათვის, მაგალითად: საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, შესყიდვების სპეციალისტი მოთხოვნილია მხოლოდ უმაღლესი განათლება, პირადი საქმეების შესწავლისას დადგინდა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ყველა აკმაყოფილებს, პირად საქმეებში წარმოდგენილი იყო უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პერსონალთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენებით დადგინდა, რომ კოლეჯის პერსონალი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს. კითხვაზე, თუ როგორ მოხდა მათი კომპიუტერული პროგრამების თუ საკანონმდებლო აქტების ცოდნის შეფასება, გვიპასუხეს, რომ აღნიშნული უნარებისა და ცოდნის დადასტურება მოხდა გასაუბრებით.

**განმავითარებელი რეკომენდაცია:** სასურველია, გადაიხედოს კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიზანშეწონილობა; პოზიციებისათვის საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, შესყიდვების სპეციალისტი საკვალიფიკაციო მოთხოვნებში დაიშვას პროფესიული განათლებაც, ვინაიდან აღნიშნული მიმართულებით არსებობს პროფესიული კვალიფიკაციები, კოლეჯი თავადვე უნდა ახდენდეს პროფესიული განათლების მქონე ადამიანების დასაქმების წახალისებას; საკვალიფიკაციო მოთხოვნებში მითითებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

კომპიუტერული პროგრამების, უცხო ენების თუ ნორმატიული აქტების ცოდნა პირად საქმეებში დადასტურებული იქნას შესაბამისი სერთიფიკატით/დიპლომით/დოკუმენტით ან დაწესებულებამ თავად უზრუნველყოს გასაუბრების ან შიდა ტესტირების დოკუმენტირება.

**ინდიკატორი 4.1.2.2 შეფასდა შესაბამისად, პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.**

3. პირადი საქმეები გადამოწმდა წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან მიმართებაში. ასევე კოლეჯის საქმისწარმოების წესში (მუხლი 9-სამსახურში მიღებისას წარსადგენი დოკუმენტები)მოთხოვნილი დოკუმენტაციის ჩამონათვალის შესაბამისად. თიანეთის ფილიალში წარმოდგენილი იყო მხოლოდ სასწავლო პროცესის მენეჯერის, დაცვის თანამშრომლების, მედდის და დამლაგებლების, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის და შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი მეორე პირის პირადი საქმეები. ასევე პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია წესრიგში იყო. ზემოთაღნიშნული პერსონალი აკმაყოფილებდა არსებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 4.1.2.3 შეფასდა შესაბამისად, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.**

4. პსდ-ს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანები და არსი მდგომარეობს, ხელი შეუწყოს ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება-გამლიერებას, პერსონალის საერთო მიზნის გარშემო გაერთიანებას, რასაც დაწესებულების მენეჯმენტი წარმატებული ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ფაქტორად განიხილავს და მნიშვნელოვანი საკითხების/პროექტების გადაჭრისთვის ქმნის სამუშაო ჯგუფებს, მაგ.: დაწესებულების რეავტორიზაციისთვის მომზადების სამუშაო ჯგუფი, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის/ცვლილებების განმახორციელების სამუშაო ჯგუფი, მონიტრონგის შედეგების აღმოფხვრის სამუშაო ჯგუფი და სხვა. გუნდური/კოლეგიალური გადაწყვეტილების მიღების მიზნით პსდ-ს რეგულაციები ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის კომისიების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

მუშაობას, ასევე კოლეჯის საქმიანობაში აქტიურად გამოიყენება სამუშაო შეხვედრების (პირისპირ/ონლაინ) პრაქტიკა.

სსიპ-ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ კოლეჯში პერიოდულად ხორციელდება თანამშრომელთა შეკრებები, ერთობლივად ხდება მუშაობა ისეთ დოკუმენტებზე, როგორიცაა სტრატეგიული თუ სამოქმედო გეგმა, პროგრამების ინიცირების განხილვა, სხვადასხვა სიახლის გაცნობა. მაგალითად, საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულება ქმნის დაწესებულების რეავტორიზაციისთვის მომზადების სამუშაო ჯგუფს, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის/ცვლილებების განმახორციელების სამუშაო ჯგუფს, მონიტრონგის შედეგების აღმოფხვრის სამუშაო ჯგუფს და სხვა. ასევე სხვადასხვა საკითხის გადაჭრისათვის მცირე ჯგუფებს.

კოლეჯში ხორციელდება თანამშრომელთა მოტივაციის და წახალისების სხვადასხვა ღონისძიებები, ეწყობა კონკურსები, კონფერენციები, გამოფენები და სხვა სტუდენტური თუ ადმინისტრაციული აქტივობები.

გასაუბრებისას ასევე დადგინდა, რომ კოლეჯი თანამშრომლების ინფორმირებისათვის საჭიროების შემთხვევაში იყენებს ელექტრონულ ფოსტასაც და ონლაინ პლატფორმებს.
**ინდიკატორი 4.1.2.4 შეფასდა შესაბამისად, პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**
1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის №04-65 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით „საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები“;
2. კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესით“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის №04-97 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის პოლიტიკით“;
4. პერსონალის პირადი საქმეებით;
5. პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;
6. პერსონალის შერჩევის ამსახველი დოკუმენტაციით;
7. პერსონალის განვითარების ღონისძიებების, მათ შორის ტრენგებისა და შეხვედრების დამადასტურებელი მასალებით;
9. პერსონალთან ინტერვიურების შედეგებით;
10. დანიშვნის ბრძანებებით.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4.2 პერსონალის განვითარება**

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე.

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. წინა ვიზიტის ფარგლებში ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილადა დაკმაყოფილებული, რადგან კოლეჯს განხორციელებული არ ჰქონდა პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებულია „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო ქვეაქტივობად მოცემულია პერსონალის საქმიანობის შეფასება.

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა "პერსონალის მართვის პოლიტიკა" (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №4-97,26/06/2020 (ბოლო ცვლილება №04-68, 23.03.2023) და „სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების ინსტრუქცია“ (ბრძანება №04-88, 10.06.2022);
აღნიშნულ დოკუმენტში დაწესებულებას გაწერილი აქვს პერსონალის საქმიანობის შეფასება. პერსონალის საქმიანობის შეფასება ხორციელდება კოლეჯის თითოეული პოზიციის შესაბამისად შემუშავებული სამუშაო აღწერილობების შესაბამისი ინდიკატორების საშუალებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა შიდა შეფასება კი ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე. შეფასების მიზანია პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ხელშეწყობა, წახალისება და კარიერული წინსვლის მექანიზმების შემუშავება. შეფასების პროცესს კოორდინირებას უწევს კოლეჯის დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შეფასების ჯგუფი.

დაწესებულებას ყავს ადამიანური რესურსების მენეჯერი, რომელიც უშუალოდ პასუხისმგებელია აღნიშნულ პროცესზე. თანამშრომლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულებაში თანამშრომელთა შეფასება ხორციელდება სამი მიმართულებით: სამსახურის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელმძღვანელი ახორციელებს თანამშრომელთა შეფასებას პოზიციების მიხედვით, ასევე თანამშრომელი ავსებს თვითშეფასების ფორმას და შემდგომ იგივე თანამშრომლის შეფასება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები: 

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შეფასების ჯგუფის მიერ.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი იქნა 21.01.2023-25.01.2023 პერიოდში ჩატარებული ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევის ანალიზი, რომელი მოიცავდა საჭიროებათა კვლევის კომპონენტსაც თუმცა აღნიშნული შედეგებით პროფესიული განვითარების საჭიროებები არ გამოვლენილა.

**ინდიკატორი 4.2.1.1 შეფასდა შესაბამისად, კოლეჯი უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას.**

2. კოლეჯის „პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში" გაწერილია, რომ პერსონალის განვითარება შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ღონისძიებებს: კვალიფიკაციის ტრენინგი, სასწავლო კურსი, დარგობრივი უნარების განვითარების მიზნით საწარმოში ვიზიტები, კონფერენციებსა და გამოფენებში მონაწილეობა და სხვა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა რიგი თანამშრომლების მიერ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გავლილი პროფესიული მომზადების პროგრამის - საქმის მწარმოებელი, დამადასტურებელი სერთიფიკატი, ადამიანური რესურსების მენეჯერის მიერ HR ადამიანური რესურსების მართვის მასტერკლასზე რეგისტრაციის დოკუმენტი.

ასევე გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯი საკუთრი ძალებით შიდა რესურსითაც ატარებს ტრენინგებს.
**ინდიკატორი 4.2.1.2. შეფასდა შესაბამისად, პერსონალის განვითარება ხორციელდება კოლეჯის მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.**

3. დაწესებულება ზრუნავს პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე. აღნიშნული განსაზღვრულია კოლეჯის სამოქმედო გეგმაშიც ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზნად. გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

მასწავლებლები სისტემატიურად მონაწილეობას ღებულობენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, უნარების სააგენტოს თუ სხვა ორგანიზაციების მიერ მოწყობილ განმავითარებელ ტრენინგებზე, კოლეჯი საკუთარი ძალებით შიდა რესურსითაც ატარებს ტრენინგებს, როგორიცაა: სწავლების  და შეფასების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება და სხვა.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ტრენინგების შესახებ მიმოწერა,  ტრენინგის დღის წესრიგი, დასწრების ფურცლები.
**ინდიკატორი 4.2.1.3  შეფასდა შესაბამისად,  კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.**

4.  კოლეჯში ახალ თანამშრომელთა ინტერგაციის პროცესის მიზანია ხელი შეუწყოს ახალდანიშნული თანამშრომლის სამუშაო პროცესებში სწრაფ და ეფექტიან ჩართვას, კოლეჯის მიზნების, სტრატეგიული/სამოქმედო გეგმებისა და მოქმედი წესების/რეგულაციების, პროცედურების შესახებ ცნობიერების გაზრდასა და კოლეჯის საზოგადოებაში ადაპტაციას.
კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი უზრუნველყოფს ახალდანიშნული თანამშრომლის ინტეგრაციის პროცესს.
აცნობს, კოლეჯის მიზნებს, ღირებულებებსა და სტრატეგიულ გეგმას, ასევე შინაგანაწესის მოთხოვნებსა და კოლეჯში
მოქმედ რეგულაციებს, პროცედურებსა და წესებს. ასევე აცნობს  თანამდებობრივ ინსტრუქციას და განუმარტავს როგორ მოხდება მის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება.
საჭიროების შემთხვევაში ახალ მიღებულ თანამშრომლებს უტარდებათ შესაბამისი ტრენინგები/ინსტრუქტაჟები. ხდება თანამშრომლებს შორის გამოცდილების, საუკეთესო პრაქტიკის  გაზიარება.
კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ხშირად იყენებენ გამოსაცდელი ვადით თანამშრომელთა მიღების პრაქტიკას. გამოსაცდელ პერიოდში მიმდინარეობა საქმიანობის შეფასება.
**ინდიკატორი 4.2.1.4 შეფასდა შესაბამისად,  პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.**

5. პერსონალის მართვის დოკუმენტში მოტივაციის ზრდის მექანიზმებად განსაზღვრულია შრომით პროცესში დასაქმებულის პოზიტიური მხარდაჭერა. პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ საშუალება აქვს  სურვილის შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:



წარმოადგინონ ინიციატივები, რომელთა დაფიქსირება შესაძლებელია სამსახურის უშუალო ხელმძღვანელთან ან ადამიანური რესურსების მენეჯერთან, ხოლო აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღება დირექტორის მიერ და პასუხი ადრესატს უბრუნდება იგივე გზით. აღნიშნულ პროცედურასთან დაკავშირებით ინფორმაციას ადამიანური რესურსები მენეჯერი ზეპირსიტყვიერად აწვდის თანამშრომლებს.

გასაუბრების შედეგად თიანეთის ფილიალში რაიმე მსგავსი ინიციატივა არ გამოვლენილა, თუმცა მათ იციან აღნიშნული შესაძლებლობის შესახებ.

**ინდიკატორი 4.2.1.5 შეფასდა შესაბამისად, პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკა დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №4-97,26/06/2020 (ბოლო ცვლილება №04-68, 23.03.2023);
- სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების ინსტრუქციის (ბრძანება №04-88, 10.06.2022);
- სსიპ -ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების კომისიის სამუშაო შეხვედრის სხდომის ოქმით N 01-1;
- სამსახურების ხელმძღვანელების ანგარიშებით თანამშრომელთა შეფასების შესახებ;
- HR ადამიანური რესურსების მართვის მასტერკლასზე რეგისტრაციის დოკუმეტით;
- პროფესიული მომზადების პროგრამა საქმის მწარმოებელის სერთიფიკატით;
- პროფესიულ პედაგოგთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის ანალიზით (კვლევის პერიოდი:11.01.2023-18.01.2023);
- ტრენინგების შესახებ მიღებული-გაგზავნილი ელ. წერილებით;

უშუალო ხელმძღვანელის მიერ შევსებული თანამშრომელთა შეფასების ფორმით;

- შემფასებელი ჯგუფის მიერ შევსებული თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების/თვითშეფასების ფორმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

- ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევის ანალიზით;
- ტრენინგის დღის წესრიგი, დასწრების ფურცლებით;
- ადმინისტრაციის თანამშრომლებსა და პროფესიულ მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებით.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.**

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

განვითარებას;

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სსიპ - „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი“ თიანეთის სასწავლო ფართს ფლობს სარგებლობის უფლებით, დაწესებულების არსებობის ვადით, რომელიც მდებარეობს თიანეთის მუნიციპალიტეტის დაბა თიანეთში, რუსთაველის ქ. N21 - ში. მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობის მესაკუთრეა სახელმწიფო, კოლეჯი სარგებლობის უფლებით ფლობს მიწის ნაკვეთს 2636 კვ.მ და მასზედ განთავსებულ 2 სართულიან შენობას საერთო ფართით 1642.56 კვ.მ კოლეჯში სასწავლო და სამუშაო სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა და მატერიალური რესურსებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია უძრავი და მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ამონაწერები საჯარო რეესტრიდან, მატერიალურ - ტექნიკური რესურსის შესყიდვის აქტები, ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები, უძრავი და მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის მასალები. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის 04-204 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია კოლეჯის მატერიალური რესურსების მართვის პროცედურა და რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. კოლეჯის სარგებლობაში არსებული მატერიალური რესურსს განკარგავს დირექტორის მოადგილის კოორდინაციით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის კოორდინატორი, რომელიც აწარმოებს აღრიცხვას, შენახვას, გაცემას და სხვა. კოლეჯის მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად, რისთვისაც კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილია მუდმივმოქმედი კომისია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსის მდგომარეობის რეგულარულ შეფასებას ახორციელებს მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის კოორდინატორი, ლოჯისტიკის სპეციალისტი და პროგრამის ხელმძღვანელი. შედეგები გადაეცემა კოლეჯის ბუღალტერს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა კოლეჯში მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსის შეფასება და განვითარების მიზნით შესაბამისი გეგმის შემუშავება. განვითარების გეგმის შემუშავებაში ჩართულია შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი, ხოლო საერთო კოორდინაციას უწევს დირექტორის მოადგილე. შეფასებისა და განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის მენეჯერი და ხარისხის მართვის სპეციალისტი.

მატერიალური რესურსებით კმაყოფილების დასადგენად კოლეჯი ახორციელებს ადმინისტრაციის წარმომადგენეთა და პროფესიულ სტუდენტთა კვლევას. მოდულის განმახორციელებლებისათვის შესაბამისი რესურსების გაცემა ხდება მოდულის დაწყებისას, რაზეც დგება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ მათი მოთხოვნები თავს იყრის პროგრამის ხელმძღვანელთან და გადაეცემათ შესაბამისი რესურსები, რასაც ხელმოწერით ადასტურებენ. რესურსების მხრივ შეფერხება საგანმანათლებლო პროცესში არ ქონიათ. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და განახორციელა რესურსების ვიზუალური დათვალიერება.

**ინდიკატორი 5.1.1.1 შეფასდა შესაბამისად, პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**

2. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის 04-204 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია კოლეჯის მატერიალური რესურსების მართვის პროცედურა, მათ შორის გაწერილია ინვენტარისა და აღჭურვილობის საჭიროების იდენტიფიცირების მიდგომები და პროცესზე პასუხისმგებელი საშტატო ერთეულები, დარეგულირებულია კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობის საკითხები. კერძოდ: კოლეჯის თანამშრომელი/პროფესიული სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის ნებართვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

საფუძველზე/პასუხისმგებლობის ქვეშ გამოიყენოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო საშუალებები, ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკა და სხვა სასწავლო რესურსები მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის, კოლეჯის თანამშრომლები და პროფესიული სტუდენტები/მსმენელები უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ კოლეჯის ლაბორატორიით/სასწავლო სახელოსნოებით კოლეჯის მიერ შემუშავებული უსაფრთხოების წესების დაცვით. კოლეჯის თანამშრომლები და პროფესიული სტუდენტები/მსმენელები უფლებამოსილნი არიან ლექციებს შორის შესვენების პერიოდში დასვენებისთვის ისარგებლონ შენობაში არსებული ფოიეთი, სველი წერტილებით, კოლეჯის ეზოში არსებული მოსასვენებელი ადგილებით, შემოქმედებითი საქმიანობისათვის შესაბამისი სივრცეებით. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის. ზემოაღნიშნულ წესში არსებული ჩანაწერების შესაბამისად პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია, გაუფრთხილდეს კოლეჯის ინფრასტრუქტურას. პროფესიული სტუდენტების მიერ კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისას.

**ინდიკატორი 5.1.1.2 შეფასდა შესაბამისად, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;**

3. კოლეჯის ტერიტორიაზე სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას ახორციელებენ დამლაგებლები და დამხმარე თანამშრომლები. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია დამლაგებელთა შრომითი ხელშეკრულებები და სამუშაო აღწერილობები, სადეზინფექციო საშუალებების მოთხოვნის ჟურნალები და სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების შესყიდვის დოკუმენტები. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ზემოაღნიშნული სამუშაოების განმახორციელებელ პირს, რომელმაც აღწერა საკუთარი სამუშაო განრიგი, სამუშაო პირობები და ფუნქცია-მოვალეობები. კოლეჯში შემუშავებულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, რომლის რეგულირების სფერო ვრცელდება კოლეჯის ყველა მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ სივრცეებზე, მათ შორის სასწავლო და სამუშაო სივრცეებზე. შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება, ვენტილაცია და უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

სტუდენტისთვის, მათ შორის სშმ პროფესიული სტუდენტებისათვის. კოლეჯში სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვა აგრეთვე დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

**ინდიკატორი 5.1.1.3 შეფასდა შესაბამისად, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.**

4. კოლეჯის მფლობელობაში არსებულ თიანეთის სასწავლო ფართში არის ცენტრალური გათბობის სისტემა. შესაბამისად, ყველა სასწავლო აუდიტორია და ადმინისტრაციის ოთახი უზრუნველყოფილია. ცენტრალური გათბობის სისტემის გამართული ფუნქციონირების დასტურად წარმოდგენილია კომუნალური გადასახადების გადახდის დოკუმენტები. კოლეჯში გათბობის სისტემის გამართული ფუნქციონირება აგრეთვე დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას.

**ინდიკატორი 5.1.1.4 შეფასდა შესაბამისად, შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.**

5. კოლეჯის დირექტორის №04-40 ბრძანების დანართი N9-ით დამტკიცებულია „უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი, რომელიც არეგულირებს სახანძრო უსაფრთხოების, კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის, კოლეჯის შენობა-ნაგებობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გადაადგილების დროს სტუდენტების დახმარებას საკითხებს. მოცემული შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები, შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის პოლიტიკა, რომლის შესაბამისად უზრუნველყოფილია შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა. კოლეჯში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან. კოლეჯი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით (ცეცხლმაქრი, სახანძრო სტენდი). შენობის საევაკუაციო გასასვლელებში და ცეცხლმაქრების განთავსების ადგილებში გამოკრულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ერთიანი სატელეფონო ნომერი „112". შენობაში დამონტაჟებულია სახანძრო სიგნალიზაცია. საევაკუაციო გზებსა და გასასვლელებში მოწყობილია საევაკუაციო გზის და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

გასასვლელების მიმართულების მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები და თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის გამოყენების ინსტრუქცია.

წინა ვიზიტის ფარგლებში კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს კანონმდებლობით დადგენილი წესით არ უდასტურდებოდა შესაბამისი კვალიფიკაცია. აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განხორციელდა საკადრო ცვლილება და კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 ივნისის №02- 105 ბრძანებით კოლეჯის შრომის უსაფრთხოების პოზიციაზე დანიშნულ იქნა ამავე კოლეჯის სხვა პოზიციაზე დასაქმებული პირი, რომელსაც უდასტურდება შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით განსაზღვრული მოთხოვნები. თუმცა, იქედან გამომდინარე, რომ დაწესებულებას პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით, კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა ჰყავდეს არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და სამეურნეო მართვის მენეჯერს, რომელმაც გაიარა შესაბამისი სერტიფიცირება, ბრძანებით დამატებით დაავალა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის უფლება - მოვალეობის შესრულება. აღნიშნულის გათვალისწინებით კოლეჯს ჰყავს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ორი პირი. გასაუბრებით დადგინდა რომ სისტემატიურად ტარდება გეგმით გათვალისწინებული ინსტრუქტაჟები, ეს დადასტურებულ იქნა წარმოდგენილი ინსტრუქტაჟების აღრიცხვის ჟურნალით.

**ინდიკატორი 5.1.1.5 შეფასდა შესაბამისად, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები.**

6. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 6 სექტემბრის N04-89 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული სახარჯი მასალისა და ნედლეულის შენახვის, გამოყენების და სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ჩამოწერის წესები“, რომელიც განსაზღვრავს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფის მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს სასწავლო მიზნებისთვის პროფესიული პროგრამის ფარგლებში გამოსაყენებელი სახარჯი მასალისა და ნედლეულის იდენტიფიცირების, მოთხოვნისა და გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული სახარჯი მასალების, ნედლეულის და შექმნილი პროდუქტის ჩამოწერის საკითხებს. ზემოაღნიშნული წესის თანახმად, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი მიმართვის შემდეგ ამოწმებს საცავში არსებული სახარჯი მასალების რესურსს და საჭიროების შემთხვევაში აკეთებს შესაბამის მოთხოვნას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად. დაწესებულებაში სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი ინახება უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით. ზემოაღნიშნული პროცესის შესრულების დასტურად, კოლეჯის მიერ წარმოდგენილია მასალა-ნედლეულის მოთხოვნისა და დაწესებულების მიერ მოცემული რესურსის მიწოდების, ამ რესურსების შესყიდვის დოკუმენტები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას დათვალიერდა სასწავლო გარემო, მასალა-ნედლეული და განხორციელდა გასაუბრება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან, რომელთაც დაადასტურეს სასწავლო პროცესში მასალა-ნედლეულის საკმარისობა.

**ინდიკატორი 5.1.1.6 შეფასდა შესაბამისად, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები/**

7. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", რომელიც მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების დაწესებულების რესურსების საკმარისობისა და ეფექტიანობის შესახებ პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევას. კვლევის ანალიზისა და გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი. ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევის ანალიზის დოკუმენტში მოცემულია ჩანაწერი, რომ პერსონალი კმაყოფილია დაწესებულების IT და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის 04-204 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის", მე-4 მუხლით განსაზღვრულია „პროგრამების მიხედვით რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია", სადაც გაწერილია კოლეჯის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსის აღრიცხვაზე, შენახვა, განვითარებასა და გამოყენების პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირები, გაწერილია ინვენტარიზაციის პერიოდები და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასების საკითხები, მათ შორის განსაზღვრულია შეფასების შედეგების მიხედვით განვითარების გეგმის შემუშავებისა და ამ გეგმის მიხედვით გაწერილი აქტივობების შესრულების თაობაზე კოლეჯის ხარისხის მენეჯერის მონიტორის საკითხები. ზემოაღნიშნულის დასტურად კოლეჯის მიერ წარმოდგენილია მატერიალური რესურსების შეფასების, ინვენტარიზაციისა და აღწერის დოკუმენტები. დაწესებულების მფლობელობაში არსებული რესურსების ვიზუალური დათვალიერებითა და ფლობის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს ფაქტს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

რომ კოლეჯს გააჩნია საკმარისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესები.

**ინდიკატორი 5.1.1.7 შეფასდა შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.**

8. დაწესებულების მფლობელობაში შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია და უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას, რაც ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის. თითოეულ სველ წერტილთან განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები, ქაღალდის პირსახოცის დისპანსერი, ასევე ნარჩენების უკონტაქტო კალათა.

**ინდიკატორი 5.1.1.8 შეფასდა შესაბამისად, კოლეჯისს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.**

9. თიანეთის სასწავლო ფართში არსებულ ყველა სასწავლო და ადმინისტრაციულ ფართს, მოსასვენებელ სივრცეებსა და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

**ინდიკატორი 5.1.1.9 შეფასდა შესაბამისად, ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.**

10. ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეები და სასწავლო აუდიტორიები, სართულების შესაბამისად, გადანაწილებულია ისე, რომ ხელი არ ეშლება საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას. ადმინისტრაციის ოთახები აღჭურვილია სათავსოებით, ხოლო პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სათავსოები განლაგებულია სამასწავლებლოში. შენობაში არის ფოიე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

**ინდიკატორი 5.1.1.10 შეფასდა შესაბამისად, სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.**

11. კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 31 აგვისტოს №04-40 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს ბიბლიოთეკის სამუშაო დღეებსა და საათებს, ბიბლიოთეკაში გაწევრიანების წესებს, ბიბლიოთეკის და მკითხველის უფლება - მოვალეობებს, საბიბლიოთეკო ერთეულის გატანისა და საბიბლიოთეკო რესურსის შეფასების საკითხებს, ასლის გადაღების, მასალის ამობეჭდვის სარგებლობისა და კომპიუტერული რესურსით სარგებლობის წესებს. საგანმანათლებლო რესურსი, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული აღრიცხულია საინვენტარო წიგნში და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. კოლეჯს ჰყავს საბიბლიოთეკო საქმეზე პასუხიმგებელი სერტიფიცირებული ბიბლიოთეკარი, რომელიც ახორციელებს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის საბიბლიოთეკო სერვისებით უზრუნველყოფას. საგანმანათლებლო რესურსით სარგებლობის გარდა, კოლეჯის საბიბლიოთეკო სერვისები გულისხმობს ასლის გადაღებას, სკანერის გამოყენებას, კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით სარგებლობას, საკანონმდებლო მაცნეს გამოყენებას და ბიბლიოთეკარის კონსულტაციას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსების ბიბლიოთეკასა და ელექტრონული ვერსიების კომპიუტერებში არსებობის ფაქტი, რაც სრულად იქნა დადასტურებული. თიანეთში ბიბლიოთეკისათვის წიგნების მიწოდება ხდება ძირითადი შენობიდან.

**ინდიკატორი 5.1.1.11 შეფასდა შესაბამისად, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის 04-204 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესით" (ბოლო ცვლილება 04-37 09.03.2022);
2. შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზებით;
3. საჯარო რეესტრიდან ამონაწერით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

4. მატერიალური რესურსების ინვენტარიზაციის, აღწერის, შეფასებისა და განვითარების დოკუმენტებით;
5. კოლეჯის მატერიალური რესურსების შესყიდვისა და მიღება-ჩაბარების აქტებით;
6. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესით;
7. გადახდის ქვითრებით;
8. კოლეჯის დირექტორის №04-40 ბრძანების დანართი N9-ით დამტკიცებული „უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესით“;
9. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 6 სექტემბრის თ №04-89 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული სახარჯი მასალისა და ნედლეულის შენახვის, გამოყენების და სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ჩამოწერის წესებით“ (ბოლო ცვლილება 04-36 09.03.2022)
9. სამეურნეო მართვის მენეჯერისთვის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია - მოვალეობის დაკისრების შესაბამისი ინდ. აქტით;
10. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით; (ცვლილება 04-66, 23.03.2023)
11. ვიზუალური დათვალიერებითა და ინტერვიუირებით.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულმთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო უსაფრთხოების სახანძრო ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის 2020 წლის 07 აგვისტოს №47 აქტი, რომელიც ადგენს დაწესებულების შესაბამისობას კანონმდებლობით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვის თაობაზე და ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. წინამძღვრიანთ კარში მდებარე შენობა-ნაგებობას. ხოლო რაც შეეხება თიანეთის ფილიალს, 2022 წლის 20 მაისს ნომერი MIA 5 22 01342538 გაცემულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ დასკვნა, რომლის თანახმად დაბა თიანეთში რუსთველის ქ N21 მდებარე სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის დაბა თიანეთის სასწავლო ფართის შენობა ნაგებობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.

კოლეჯის მიერ ასევე წარმოდგენილია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №5002185822(07.04.2022)დასკვნა, რომელიც ადგენს, რომ დაბა თიანეთში, რუსთაველის 21 სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 2636 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მდებარე (ს.კ. 73.05.35.072) სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და შესაძლებელია შენობის უსაფრთხო ექსპლუატაცია.
შენობის ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა რომ პერიმეტრზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები, საავარიო განათება განგაშის სისტემა, მიმართულების მანათობელი აღმნიშვნელები. კოლეჯს ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები. პერსონალს პერიოდულად უტარდება ინსტრუქტაჟები უსაფრთხოების ტექნიკის, სანიტარული ნორმების, ხანძარსაწინააღმდეგო და შრომის დაცვის სხვა წესების შესახებ, რაც დასტურდება წარმოდგენილი ინსტრუქტაჟების ჟურნალში ხელმოწერებით და მტკიცებულებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ცეცხლმაქრების პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ჟურნალი, რომლის თანახმად და ვიზუალური დათვალირებით ცეცხლმაქრები ვარგის მდგომარეობაში იყო და განთავსებული იყო კოლეჯის პერიმეტრზე.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.1. დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები**

2. კოლეჯის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. კოლეჯს სტეფანწმინდის ფილიალში ჰყავს მედდა, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო და აუცილებელი ინვენტარითა და პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებებით. მედდა პასუხისმგებელია კოლეჯის თანამშრომელთა, პროფესიულ მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვაზე. მის კომპეტენციებში შედის: კოლეჯის სამედიცინო, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის კონტროლი; საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უზრუნველყოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება 112-ზე დარეკვით. კოლეჯში მედდა პერიოდულად ატარებს ინსტრუქტაჟს ადმინისტრაციისა და სტუდენტებისათვის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის საკითხებზე. ექსპერტებმა დაათვალიერესეს დაწესებულებაში არსებული სამედიცინო აღრიცხვის ჟურნალი, რითაც დგინდება, რომ დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.
**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.1. დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.**

3. წინა ვიზიტის დასკვნაში **ინდიკატორი 5.1.2.3 მეტწილად იყო დაკმაყოფილებული,** რადგან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული არ იყო კომპეტენტურ ორგანოსთან. აღნიშნულთან დაკავშირებით, კოლეჯმა წარმოადგინა წერილი, რის მიხედვითაც დასტურდება, რომ კოლეჯის მოთხოვნა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული იყოს კომპეტენტურ ორგანოსთან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში რეგისტრირებულია შემდეგი ნომრით №1513980; 07.06.2022წ. ამასთან, კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №04-78 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2022 წლის 9 მარტს, ბრძანება №04-55) დამტკიცებულია „კოლეჯის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა", რომლის ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია მატერიალური,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

ფინანსური რესურსის გაუმჯობესება, უსაფრთხოების ნორმების დაცვის გაუმჯობესება, ხოლო ქვეატივობად მოცემულია უსაფრთხოების ნორმების გაუმჯობესება, აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 აგვისტო - **რეკომენდაცია შესრულებულია. კერძოდ:** კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“ და შეიქმნა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბი, რომელსაც აქვს საგანგებო შტაბის შეტყობინების გეგმა. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმდა კომპეტენტურ ორგანოსთან, რის დასტურადაც წარმოდგენილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი კოლეჯისადმი(NMIA 3 22 01776364 30.06.2022), რომელიც ადასტურებს, რომ საგანგებო მართვის გეგმა შეესაბამება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადები წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის N452 დადგენილებას და შეთანხმებულია. პროფესიული სტუდენტებს და პერსონალს სასწავლო წლის განმავლობაში უტარდებათ წვრთნები საგანგებო სიტუაციების რეაგირების შტაბის მიერ, რაც დასტურდება ინსტრუქტაჟების ჩატარების ჟურნალებით. შენობაში გამოკრულია საევაკუაციო გეგმები და მანიშნებლები, საავარიო განათება და სხვა მანიშნებლები. ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე დაწესებულებამ წარმოადგინა ინსტრუქტაჟების აღრიცხვის ჟურნალი, და სხვა დოკუმენტაცია.

**ინდიკატორი 5.1.2.3. შეფასდა შესაბამისად,დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.**

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. პროგრამა დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის დირექტორის **N04-95 ბრძანებით (23.09.2019). ბოლო ცვლილება შესულია 04-80 03/06/2022.**

7. პროგრამა „რძის პროდუქტების წარმოება“ გულისხმობს პროფესიული სტუდენტისათვის ისეთი შედეგების გამომუშავებას, როგორიცაა : რძის პროდუქტის წარმოებისთვის ნედლეულის შერჩევა; რძის პროდუქტის წარმოებისთვის ნედლეულის შეფასება; ტექნოლოგიური რეჟიმების დაცვით რძის პროდუქტების დამზადება; რძის პროდუქტის წარმოებაში გამოსაყენებელ მანქანა-დანადგარების მოვლა; რძის პროდუქცია სარეალიზაციოდ გამზადება და სხვა. შესაბამისად, პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მოიცავს რძის პროდუქტების წარმოების სპეციალისტის ფუნქცია– მოვალეობებსა და კომპეტენციებს, პროგრამის სახელწოდება „რძის პროდუქტების წარმოება“ ემთხვევა ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდებას, სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.7 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

8.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „რძის პროდუქტების წარმოება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - სასურსათო პროდუქტების წარმოება“ შესაბამისად.
კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რძის პროდუქტების წარმოება“ მოიცავს მოდულებს და სასწავლო გეგმას (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული პროგრამისთვის). პროგრამით განსაზღვრულია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზანი, დაშვების წინაპირობა, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, პროგრამის მოცულობა (მოდულური, ინტეგრირებული), სწავლის შედეგები, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, კვალიფიკაციის მინიჭება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლება, პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები და პარტნიორი ორგანიზაციები და სხვა. პროგრამაში ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულები A2 და B1 რომელის მიზანია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:



არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად.
**საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.1.1.8 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- კოლეჯის მისიით;
- კოლეჯის 2020 – 2026 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სამოქმედო გეგმა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „რძის პროდუქტების წარმოება“ (დუალური)
- პროფ. საგანმ. პროგრამის დამტკიცების აქტით;
- საგანმანათლებლო პროგრამის –„რძის პროდუქტების წარმოება“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ‚პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესით;
- დრექტორის ბრძანება **N04-95 ბრძანებით (23.09.2019). დამტკიცებული წესი**: „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:



- ემისის ბაზის ვიზუალური დათვალიერებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთებით.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

**2.** პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

**3.** პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

**4.** საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

**5.** საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

**6.** სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „რძის პროდუქტების წარმოება“ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 20 სტუდენტით. დაწესებულებას სწავლების განხორციელებისათვის აქვს A(10 პროფესიულ სტუდენტზე) და B(10 პროფესიულ სტუდენტზე) სასწავლო გარემო. აუდიტორიები აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, სტუდენტების კომპიუტერებით, მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი) და სხვა;
B სასწავლო გარემოს კოლეჯი იყენებს სხვა პროგრამებისთვისაც. წარმოდგენილ იქნა აუდიტორის დატვირთვისა და ლექციების ცხრილი. დადასტურდა, რომ შეუფერხებლად არის შესაძლებელი B სასწავლო გარემოში საგანმანთლებლო პროცესის წარმართვა.
პროგრამის C გარემოს წარმოადგენს ლაბორატორია. სადაც განთავსებულია პროფესიული მოდულების კოლეჯში მისაღწევი შედეგებისათვის განსაზღვრული მატერიალური რესურსი, პროგრამის მატერიალური აღჭურვილობის დანართი N 4 შესაბამისად.
კოლეჯში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ფლობა დასტურდება ვიზუალური დათვალიერებით, მიღება-ჩაბარების აქტებით, საინვენტარო ჟურნალით/ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

აღნიშნული პროგრამაში მითითებულია რომ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის კოლეჯს დადებული აქვს ხელშეკრულებები სამ ორგანიზაციასთან. კერძოდ:

- კოოპერატივი „მთია“(თიანეთის მუნიციპალიტეტის, სოფ, ხევსურთსოფელი);
- ამხანაგობა „თიანეთი“ (დაბა თიანეთი, გოგებაშვილის ქუჩა N7);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „რკ ყვარის მთა“ (დაბა თიანეთი, არტნის ქუჩა N17)

ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთან „რკ ყვარის მთა“ დადებული ხელშეკრულება N006 (14 თებერვალი 2022) რაც გულისხმობს 15 პროფესიული სტუდენტის სწავლებას. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება პროგრამის განხორციელების ვადის ამოწურვამდე. რაც შეეხება პროგრამაში მითითებულ დამატებით ორ პრაქტიკის ობიექტს: „მთია“ და „თიანეთი“ დაწესებულებას აღნიშნულ ორგანიზაციებთან ხელშეკრულება არ წარმოუდგენია და განაცხადეს, რომ მათთან აღარ თანამშრომლობენ.

ვიზიტის ფარგლებში ვერ მოხერხდა პრაქტიკის ობიექტის „რკ ყვარის მთა“ დათვალიერება, რადგან დაწესებულებამ განაცხადა, რომ ობიექტი აღდგომის შემდგომ დაკეტილია. ხელშეკრულების თანახმად, აღნიშნული ორგანიზაციის დირექტორი თავად არის პრაქტიკის ინსტრუქტორი. ვიზიტის ფარგლებში ვერ მოხერხდა ვერც პრაქტიკის ინსტრუქტორთან გასაუბრება, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების დადასტურების ჟურნალი, სადაც პროფესიულ სტუდენტთა შეფასებები დადასტურებულია ინსტრუქტორის ხელმოწერით. ჩანაწერების ჟურნალში აღრიცხულია სასწავლო საწარმოში სწავლისას პროფესიული სტუდენტის მიერ განხორციელებული აქტივობები სასწავლო საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების ნაწილში.

სასწავლო გეგმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ვიზიტის პერიოდში პრაქტიკის ობიექტზე უნდა ყოფილიყო რამდენიმე მოდულის (რძის პირველადი დამუშავება, რძის თბური და მექანიკური დამუშავება,ლაბორატორიული სამუშაოები რძის დამუშავებისას,სასმელი რძის დამზადება) ფარგლებში სასწავლო პროცესი.

ორგანიზაციასთან „ყვარის მთა“ დადებულ ხელშეკრულებაში გაწერილია, რომ ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 10 დღის ვადაში პროგრამის სასწავლო გეგმა(დანართი 1), პრაქტიკის ობიექტისათვის საჭირო აღჭურვილობა(დანართი 2), და ინფორმაცია ინსტრუქტორის შესახებ(დანართი 3), უნდა დაერთოს ხელშეკრულებას და გახდეს მისი განუყოფელი ნაწილი. აღნიშნული დანართები დაწესებულებას არ წარმოუდგენია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში ვერ დადგინდა რამდენად არის შესაძლებელი აღნიშნულ ობიექტზე პრაქტიკული შედეგების მიღწევა, აღნიშნულის გათვალისწინებით, **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.1 მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

**2.** პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 13. მათ შორის 7 არის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირები სწავლებას ახდენენ სხვა პროგრამების ფარგლებშიც. დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებლების დატვირთვები. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა არ ეწინააღმდეგება ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსს" და კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

**3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.** დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტის „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი რძის პროდუქტების წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლები" მიხედვით განსაზღვრულია კონკრეტული პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ განსახორციელებელი მოდულების სახელწოდებები. დაწესებულებას პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული აქვთ შრომითი ხელშეკრულებები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

საქმეები/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ მოდულების განმახორციელებელ პირებს ზოგიერთს აქვს სწავლების გამოცდილება, ან ჩატარებული აქვთ შესაბამისი ტრენინგი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოლეჯი დროდადრო გეგმავს და ატარებს განმავითარებელ ტრენინგებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

**4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი,** პროფესიით მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით. გავლილი აქვს სხვადასხვა სახის ტრენინგები. აქვს სწავლების გამოცდილება. იგი ჩართული იყო საგანმანათლებლო პროგრამის "რძის პროდუქტების წარმოება" შემუშავების პროცესში.

**ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

**5.** ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ შემოწმდა პროგრამის მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომლობა დაწესებულებაში. მოდულებში განსაზღვრული სასწავლო რესურსი დაცულია დაწესებულების ბიბლიოთეკაში ელექტრონული და ბეჭდური სახით, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და გატარებულია კატალოგში. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში კომპიუტერში.

**ინდიკატორის 2.2.1.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

**6.** დაწესებულებას რეგულაციით განსაზღვრული აქვს, რომ მოახდენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

სტუდენტების სასწავლო პროცესში  ინტეგრირებას. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის ჩართვას.დაწესებულებას ასევე შრომითი ხელშეკრულებით ყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი.
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

**7.** პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, დაწესებულება ვაუჩერული დაფინანსების სახით მიიღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე. ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს **ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.კოლეჯის მიერ წარმოდგენილი**
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის 2.2.1.7 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით "რძის პროდუქტების წარმოება" ;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით";
- მოდულის განმახორციელებელ პირებთან  ხელშეკრულებებით;
- მოდულის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით;
- პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებლების პირადი საქმეებით;
- დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- პრაქტიკის გარემოს მონახულებით და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით;
- ბიბლიოთეკის დათვალიერებით და ბიბლიოთეკართან გასაუბრებით;
- სასწავლო ცხრილების შემოწმებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან მემორანდუმებით.

**შეფასება:**

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:



1. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების სასწავლო პროცესის და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი, რომელიც უზრუნველყოფს საქმიანობის დაგეგმვის, მართვის, მონიტორინგისა და განვითარების პროცესებს. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევას, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან და სხვ. ასევე დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი შემუშავებულია ხარისხის ციკლის მიხედვით დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე, რაც უზრუნველყოფს პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის, სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგისა და განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობას. წარმოდგენილ იქნა მასწავლებელთა და ადმინისტრაციის თანამშრომელთა თვითშეფასებისა და კმაყოფილების კვლევის ანგარიშები.
**ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

**2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.** დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია, ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციებიც ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის შედეგად. შიდა მექანიზმებით გათვალისწინებულია პროგრამების მონიტორინგი და შეფასება. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე მოხდება პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

**ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- გასაუბრებით;
- პროფესიულ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმით(ასეა დასათაურებული დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კითხვარი)
- პროფესიული სტუდენტის თვითშეფასების ანკეტა-კითხვარით;
- კითხვარით სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნის შესასწავლად;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიით
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა სასწავლო გეგმა პროგრამის ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. მოდულური: ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 85 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-96 კვირა. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 115 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-117 კვირა. სასწავლო პროცესი ამ გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, რაც დასტურდება მეცადინეობების განრიგით და შესაბამისი პირების ინტრვიუირებით.

**2.4.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

2. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელის განმარტებით, ტარდება პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; კოლეჯის მიერ შემუშავებულია მექანიზმები, რომელიც გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომლის მიხედვითაც, შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად ხდება პროფესიული სტუდენტის საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმის შემუშავება, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს/ მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. ასევე სტუდენტებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ხორციელდება სტუდენტების გამოკითხვები საჭიროებებთან დაკავშირებით და ხდება შესაბამისი რეაგირება სტუდენტების მოთხოვნებზე.

**2.4.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

3. მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა - ლექცია დემონსტრირებით, დისკუსია, პრაქტიკული სავარჯიშო, ინტერაქტიული შემთხვევის ანალიზი, პრეზენტაცია, ტექნიკური უნარის დემონსტრირება; კეთება ინსტრუქტაჟი; საველე პრაქტიკა; სიმულაცია და სხვა. წარმოდგენილი მეთოდები მოდულის განმახორციელებელ პირს შეუძლია შეცვალოს კონკრეტული საკითხის შესაბამისად მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით. სწავლის პროცესში პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულება იყენებს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, ლაბორატორიულ აპარატურას.

**2.4.1.3. ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული, ვერ დგინდება სასწავლო პროცესი ითვალისწინებს თუ არა სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას**. ვინაიდან, ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება, ვერ დადგინდა პრაქტიკის პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. შესაბამისად აღნიშნული კომპონენტი შეფასდა უარყოფითად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

4. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სასწავლო პროცესის ორგანიზებას უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. აუცილებლობის შემთხვევაში სასწავლო პროცესს გეგმავს ცვლებში, სტუდენტების მოთხოვნაზე დროულად აბრუნებს უკუკავშირს. უზრუნველყოფს დროულად ცნობების გაცემას.

**2.4.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

5. **პროგრამაში საგანმანათლებლო დაწესებულების პარტნიორ ორგანიზაციებად, რომლებთანაც ხელშეკრულების მეშვეობით უზრუნველყოფილია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება, მითითებულია**

- კოოპერატივი „მთია“(თიანეთის მუნიციპალიტეტის, სოფ, ხევსურთსოფელი);
- ამხანაგობა „თიანეთი“ (დაბა თიანეთი, გოგებაშვილის ქუჩა N7);
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „რკ ყვარის მთა“ (დაბა თიანეთი, არტნის ქუჩა N17)

ვიზიტის დროს დაწესებულების პასუხისმგებელმა პირმა განაცხადა, რომ პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობენ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთან „რკ ყვარის მთა“ (დაბა თიანეთი, არტნის ქუჩა N17), რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება და გულისხმობს 15 პროფესიული სტუდენტის სწავლებას.

6. საგანმანათლებლო პროგრამა “რძის პროდუქტების წარმოება” ხორციელდება როგორც კოლეჯის A,B,C გარემოში, ასევე პრაქტიკის ობიექტზე. დაწესებულებას, როგორც 5.1.1.5. ინდიკატორის აღწერისას ავღნიშნეთ, კოლეჯის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილი აქვს შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ კოლეჯში განთავსებულ ლაბორატორიაში გამოკრული იყო სათანადო შრომის უსაფრთხოების წესები, წარმოდგენილი იყო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

გამოყენების წესები.

აღნიშნული პროგრამა ხორციელდება დუალურად და სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% -ზე  მეტი მიიღწევა პრაქტიკის ობიექტზე, იქიდან გამომდინარე, რომ ვერ მოხერხდა პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება(დაკეტილი იყო), ვერ დგინდება მიმდინარეობს თუ არა პრაქტიკის ობიექტზე სწავლება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით **2.4.1.6. ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული. სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით “რძის პროდუქტების წარმოება”;
- სასწავლო გეგმით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- ფაქტობრივი გარემოებითა და ინტერვიუირების შედეგებით პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით;
- ხელშეკრულება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „რკ ყვარის მთა“ (დაბა თიანეთი, არტნის ქუჩა N17)

**შეფასება:**

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

☒ არ შეესაბამება

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას
1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.კოლეჯში შეფასების პროცესს არეგულირებს რამდენიმე დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი:
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- „შუალედური შეფასების ჩატარების წესი და პირობები მოდულურ, დუალურ და ინტეგრირებულ პროგრამებზე“;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი“;
- პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის წარმოების წესი

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გამოიყენოს შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. გასაუბრების დროს დადგინდა რომ იმ მოდულების შემთხვევაში , რომელიც წარმოადგენს სხვა მოდულებზე დაშვების წინაპირობას, სტუდენტს განმეორებითი შეფასებისათვის ეძლევა ერთი კვირა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

განსხვავებულია შედეგის გაცნობის პირობებიც. თუ მოდული სხვა მოდულის დაშვების წინაპირობაა, სტუდენტს შეფასება ეცნობება საგამოდო თარიღიდან ორი დღის ვადაში. თუ არ არის დაშვების წინაპირობა- 1 კვირის ვადაში.

შეფასების პროცესამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ, სასწავლო პროცესის მენეჯერი ვალიდაციის პროცესში რთავს პროგრამის ხელმძღვანელს ან სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს, რომლებიც ახორციელებენ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას. სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკურ, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელი - შინაარსობრივ ვალიდაციას.
ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესი. დაწესებულებამ წარმოადგინა ვალიდაციის ჩეკ-ლისტები და პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ შეფასების ინსტრუმენტის განვითრებისათვის მასწავლებლები ამოწმებენ ერთმანეთის შეფასების ინსტრუმენტებსაც. ამითი ხდება ერთგვარი გამოცდილების გაზიარებაც და ინსტრუმენტის დამატებითი რევიზია.

შევსებული შეფასების ინსტრუმენტები ინახება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში. შეფასების უწყისი ინახება უვადოდ. კოლეჯმა წარმოადგინა მტკიცებულებების და უწყისების აღრიცხვის დოკუმენტაცია. აღნიშნული პროცესები მიმდინარეობს რეგულაციის შესაბამისად.

**ინდიკატორი 2.4.2.1 შესაბამისობაშია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

2.დაწესებულების მიერ განსაზღვრულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

მიღწევების შეფასების ინსტრუქცია, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით კონკრეტული პროგრამის ფარგლებში გამოყენებული იქნება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებისა და ზოგადად შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წლის 20 იანვრის ბრძანება ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ.

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები" , სადაც მუხლი N5 არეგულირებს ვერიფიკაციის პროცესს. პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს. იგი უფლებამოსილია თვითონ განახორციელოს ვერიფიკაციის ის ნაწილი, რომელიც არ მოითხოვს დარგის კომპეტენციას. ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შესაძლებელია შევიდნენ: დარგის ექსპერტი; პროფ.განათლების მასწავლებელი; მოწვეული პირი, ან სხვა კომპეტენტური პირი, რომელიც არ მოდის ინტერესთა კონფლიქტში. აღნიშნული რეგულაციის შესაბამისად შემუშავებულ იქნა ვერიფიკაციის გეგმა (2022), რომლის თანახმად, სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში 2022 წლის ოქტომბერში ჩატარდა თიანეთის ფილიალში „რძის პროდუქტების წარმოების" მიმართულებით ვერიფიკაცია. აღნიშნული პროცესი განხორციელდა კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ. ვერიფიკაციის პროცესმა მოიცვა სამივე მიმართულება: შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია; შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია; შეფასების პროცესის ვერიფიკაცია. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენლ იქნა პროგრამისათვის „რძის პროდუქტების წარმოება" ვერიფიკაციის მასალები, ვერიფიკაციის ანგარიში, რომელიც მოიცავდა სარეკომენდაციო ნაწილსაც.

**ინდიკატორი 2.4.2.2 შესაბამისობაშია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

**3.**დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის წარმოების წესი „შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულებები დაცული აქვს ინდივიდუალურ საქაღალდეებში რომელსაც დართული აქვს უწყისების და მტკიცებულებების აღრიცხვის ფურცელი. დაწესებულებას აქვს შემუშავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. უწყისები ინახება სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის მინიჭებამდე/სტატუსის შეწყვეტამდე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

რის შემდეგაც სასწავლო პროცესის მენეჯერი უწყისებს გადასცემს კოლეჯის საქმისმწარმოებელს, რომელიც მათ შენახვას უზრუნველყოფს უვადოდ. დაწესებულებამ წარმოადგინა შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულებები, რომლებიც აღრიცხული იყო სათანადო წესით და განთავსებული იყო ცალკეულ საქაღალდეებში, შესაბამისი ეტიკეტებით.

**ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისობაშია, პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

**4.** დაწესებულებაში შემუშავებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. ამ დოკუმენტით ორგანიზებულია სასწავლო პროცესი. რეგულაციებით გაწერილია ყველა პროცესი. პროგრამის განმახორციელებელი პირების განცხადებით, შეფასების შედეგების ანალიზი ეხმარებათ შეფასების პროცესის შემდგომი განვითარებისთვის. პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციებს. შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება სისტემატურად და შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. განმავითარებელი შეფასების შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს, რის საფუძველზეც პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.

**ინდიკატორი 2.4.2.4 შესაბამისობაშია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- „შუალედური შეფასების ჩატარების წესი და პირობები მოდულურ, დუალურ და ინტეგრირებულ პროგრამებზე“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი“;
- პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის წარმოების წესი
- ვიზუალური დათვალიერებით;
- სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან და მოდულის განმახორციელებელ პირებთნ გასაუბრებით;
- ბრძანება ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმით და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიღწევების შეფასების ინსტრუქციით.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა“ შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:



| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | მეხილეობა |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 811 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | დაბა თიანეთი, რუსთაველის 21<br>სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „რკ ყვარის მთა“ (დაბა თიანეთი, არტნის ქუჩა N17) |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | დუალური |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:



| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 10 პროფესიული სტუდენტი, დაბა თიანეთი, რუსთაველის 21 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „რკ ყვარის მთა“ (დაბა თიანეთი, არტნის ქუჩა N17) |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში). | 5 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 148 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 178 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |

## X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | | შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | | შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | შეესაბამება |

## XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „მეხილეობა“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მისიაა მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები, როგორც ადგილობრივი, ისე ქვეყნის მასშტაბით შრომის ბაზრისთვის; ხელი შეუწყოს ინდივიდის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას, ასევე უწყვეტი განათლების მიღების

შესაძლებლობის გაზრდას; კოლეჯი მრავალპროფილურია, თუმცა მისი წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა. კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა“ განხორციელების დაგეგმვისას კოლეჯი დაეყრდნო მცხეთა-თიანეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებს, რეგიონის განვითარების სტრატეგიაs (2015-2021 წლებისთვის), რომელიც გვიჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა რეგიონული განვითარების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, რომელიც რეგიონის ეკონომიკაში ყურადსაღებ ადგილს იკავებს. მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტების გეოგრაფიული მდებარეობა სოფლის მეურნეობის მრავალი მიმართულების განვითარებას განაპირობებს, მათ შორის მეხილეობის. განსაკუთრებით აღსანისნავია, რომ ეს სექტორი თვითდასაქმების და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებაა.

კოლეჯმა თავად ჩაატარა კვლევა. გამოკითხვამ აჩვენა, რომ მეხილეობის პროგრამით დაინტერესებულია გამოკითხულთა 15%, გამოკითხული მოსახლეობის ნაწილი მიიჩვენს, რომ მნიშვნელოვანია მეხილეობის პროგრამაზე სწავლა მათთვის, რადგან მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ხელსაყრელი პირობებია მეხილეობის მეტად განვიტარებისა და შესაბამისად თვითდასაქმებისათვის.აღნიშნულის გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამა „მეხილეობა“ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

**ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:



**2.** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა" დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება -საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისაღებად საბაზო განათლება - საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ფარგლებში (შემდეგში -ინტეგრირებული პროგრამა).
კოლეჯის დირექტორის ბრძანებით №04-99, 07.10.2019 დამტკიცებულია „აპლიკანტთა კონკურსის წესით შერჩევის დებულება იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში" ამ დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულებაში პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. პროგრამა შედგენილია ისე, რომ უზრუნველყოს პროგრამის განხორციელების ვადაში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა.
ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დოკუმენტები, კერძოდ: კოლეჯის ფარგლებში ჩატარებული შესარჩევი კონკურსის მასალები, შეამოწმა პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, ამ პროფესიული სტუდენტების არსებობა პროფესიული განათლების მართვის სისტემაში. პროფესიული განათლების მართვის სისტემის მონაცემებით აღნიშნულ პროგრამაზე ფიქსირდება 3 აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი. დაწესებულება არ არღვევს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად, რადგან საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
**2.1.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია,** რადგან საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე გადაამოწმა როგორც სრულწლოვან, ისე არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულების/სამმხრივი ხელშეკრულების გაფორმების სპეციფიკა.

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

დაწესებულებას შემუშავებული/დამტკიცებული აქვს ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი’’“, რომელიც ითვალისწინებს ძირითადად A და B გარემოს და მატერიალური რესურსების საკმარისობას. დაწესებულება ზღვრული რაოდენობის დასაბუთებისას ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა(განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ცვლებში ან ორ პარალელურ ჯგუფად უნდა განხორციელდეს სწავლება); კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პრაქტიკის ობიექტ(ებ)თან გაფორმებული მემორანდუმის/ხელშეკრულების საფუძველზე, პროფესიულ სტუდენტთა იმ მაქსიმალური რაოდენობას (პრაქტიკის ინსტრუქტორებისა და პროფესიული სტუდენტების ლოგიკური რაოდენობრივი შეფარდებით), რაც პრაქტიკის ობიექტ(ებ)ს შეუძლია მიიღოს; პროგრამის ავტორიზაციის ვადის ფარგლებში, სტუდენტთა აუდიტორიებში/პრაქტიკის ობიექტზე გადანაწილების შესაძლებლობას; კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და სხვადასხვა დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში შესაძლებელია შეფერხების გარეშე განხორციელდეს სწავლება. შესწავლილ იქნა აუდიტორიების გამტარობა, მასწავლებელთა დატვირთვის სქემები. ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება ჩარჩო დოკუმენტის

საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**2.1.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

4. ექსპერტების მიერ გადამოწმდა და დადასტურდა პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსის არსებობა და დადგინდა რომ მათი საშუალებით უზრუნველყოფილი იქნება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა, როგორც კოლეჯის, ასევე პრაქტიკის ობიექტის ბაზაზე.
ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსებიდან სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ის სახელმძღვანელოები, რომლებიც წარმოადგენენ საფუძველს მეხილეობის შესწავლისათვის. მოდულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი, რელევანტურია და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
რაც შეეხება პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებისათვის საჭირო რესურსს, ობიექტი აკმაყოფილებს კოლეჯთან გაფორმებული ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ მატერიალურ რესურსს.
**2.1.1.4. ინდიკატორი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

**5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ. კერძოდ: დაწესებულებას შემუშავებული აქვს** ‘‘სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების
შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“( N04-111 (2018 13.12.2019) )რომლის მეორე მუხლის მეექვსე პუნქტის თანახმად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. პროგრამა დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის დირექტორის **N04-95 ბრძანებით (23.09.2019). ბოლო ცვლილება შესულია 04-80 03/06/2022.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.** პროგრამა "მეხილეობა" გულისხმობს პროფესიული სტუდენტისათვის ისეთი შედეგების გამომუშავებას, როგორიცაა : მონაწილეობა საბაღე ფართობის ტერიტორიულ მოწყობაში; ნიადაგის დამუშავება; ხეხილოვანი კულტურების სარგავი მასალის წარმოება; ხეხილის სხვლა-ფორმირება;ხეხლის დაცვა; მოსავლის აღება, ფერმერული მეურნეობის მართვა და სხვა. შესაბამისად, პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მოიცავს რძის პროდუქტების წარმოების სპეციალისტის ფუნქცია–მოვალეობებსა და კომპეტენციებს, პროგრამის სახელწოდება "მეხილეობა" სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

**8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: "მეხილეობა" შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - სოფლის მეურნეობა, ასევე აქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების №170/ნ (2019 წლის 19 აგვისტო) შესაბამისად.
კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "მეხილეობა" მოიცავს მოდულებს და სასწავლო გეგმას (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული პროგრამისთვის). პროგრამით განსაზღვრულია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზანი, დაშვების წინაპირობა, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, პროგრამის მოცულობა (მოდულური, ინტეგრირებული), სწავლის შედეგები, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, კვალიფიკაციის მინიჭება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლება, პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები და პარტნიორი ორგანიზაციები და სხვა. პროგრამაში ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულები A2 და B1 რომელის მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად.
**საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

**მოთხოვნებს.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- კოლეჯის მისიით;
- კოლეჯის 2020 – 2026 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სამოქმედო გეგმა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით "მეხილეობა" (დუალური)
- პროფ. საგანმ. პროგრამის დამტკიცების აქტით;
- საგანმანათლებლო პროგრამის –"მეხილეობა" განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით";
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესით;
- დრექტორის ბრძანება **N04-95 ბრძანებით (23.09.2019). დამტკიცებული წესი**: „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)"
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთებით.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

**2.** პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

**3.** პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

**4.** საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

**5.** საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

**6.** სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

**1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**
“მეხილეობა“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 20 სტუდენტით (10-10 სტუდენტი ინტეგრირებულზე და არაინტეგრირებულზე) დაწესებულებას სწავლების განხორციელებისათვის აქვს A და B სასწავლო გარემო, რომლებიც გათვლილია 10-10 პროფესიულ სტუდენტზე. აუდიტორიები აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, სტუდენტების კომპიუტერებით, მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი) და სხვა;
მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ფლობა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტებით, საინვენტარო ჟურნალით/ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. B სასწავლო გარემოს კოლეჯი იყენებს სხვა პროგრამებისთვისაც, წარმოდგენილ იქნა აუდიტორის დატვირთვის ცხრილი. ასევე ლექციების ცხრილი. დადასტურდა, რომ შეუფერხებლად არის შესაძლებელი საგანმანთლებლო პროცესის წარმართვა.
აღნიშნული პროგრამაში მითითებულია რომ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის კოლეჯს დადებული აქვს ხელშეკრულება:
• **პრაქტიკული კომპონენტი:** ფიზიკური პირი - ომარ ქუცნაშვილი (დაბა თიანეთი, სოფელი ხოფცა).

ვიზიტის ფარგლებში მოხდა პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება და გასაუბრება პრაქტიკის ინსტრუქტორთან და პროფესიულ სტუდენტთან. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დღეს ცხრილით გათვალისწინებული იყო პრაქტიკის ობიექტზე სამუშაოს განხორციელება. გასაუბრების დროს გაირკვა, რომ პროფესიული სტუდენტები ცხრილის შესაბამისად დადიან პრაქტიკის ობიექტზე და ახორციელებენ სეზონის მიხედვით დაგეგმილ სამუშაოებს. ხეხილის ბაღში შესაძლებელია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება, ობიექტზე არსებული ხელსაწყოებისა და რესურსების გათვალისწინებით.
ექსპერტთა ჯგუფმა ასევე გადაამოწმა საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების დადასტურების ჟურნალი, სადაც პროფესიულ სტუდენტთა შეფასებები დადასტურებულია ინსტრუქტორის ხელმოწერით. ჩანაწერების ჟურნალში აღრიცხულია სასწავლო საწარმოში სწავლისას პროფესიული სტუდენტის მიერ განხორციელებული აქტივობები სასწავლო საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების ნაწილში.
**ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია, ექსპერტების შეფასებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

**უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

**2.** პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 12. მათ შორის 6 არის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირები სწავლებას ახდენენ სხვა პროგრამების ფარგლებშიც. დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებლების დატვირთვები. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა არ ეწინააღმდეგება ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსს" და კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
**ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის** განხორციელების მდგრადობას.

**3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.** დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტის „სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი მეხილეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლები" მიხედვით განსაზღვრულია კონკრეტული პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ განსახორციელებელი მოდულების სახელწოდებები. დაწესებულებას პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული აქვთ შრომითი ხელშეკრულებები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ მოდულების განმახორციელებელ პირებს ზოგიერთს აქვს სწავლების გამოცდილება, ან ჩატარებული აქვთ შესაბამისი ტრენინგი. გავლილი აქვთ როგორც შიდა, ასევე პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგი, „სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება", „ელექტრონული საქმისწარმოების „eflow"-ს გამოყენების ინსტრუქციაში, „ინკლუზიურ განათლების ზოგად პრინციპებსა და მიდგომებში" და სხვა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოლეჯი დროდადრო გეგმავს და ატარებს განმავითარებელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

ტრენინგებს საჭიროებიდან გამომდინარე. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია.
**ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

**4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი,** პროფესიით მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით. გავლილი აქვს სხვადასხვა სახის ტრენინგები. აქვს სწავლების გამოცდილება. იგი ჩართული იყო საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა" შემუშავების პროცესში.

**ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.**

**5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;** ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ შემოწმდა პროგრამის მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომლობა დაწესებულებაში. მოდულებში განსაზღვრული სასწავლო რესურსი დაცულია დაწესებულების ბიბლიოთეკაში ელექტრონული და ბეჭდური სახით, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და გატარებულია კატალოგში. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში კომპიუტერში.
**ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

**6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;** დაწესებულებას რეგულაციით განსაზღვრული აქვს, რომ მოახდენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრირებას. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის ჩართვას.დაწესებულებას ასევე შრომითი ხელშეკრულებით ყავს ინკლუზიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

პროფესიული განათლების სპეციალისტი.**ინდიკატორი 2.2.1.6. დაკმაყოფილებულია,**

**7.**პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, დაწესებულება ვაუჩერული დაფინანსების სახით მიიღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე. ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს **ინდიკატორი 2.2.1.7. დაკმაყოფილებულია,ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით "რძის პროდუქტების წარმოება" ;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით";
- მოდულის განმახორციელებელ პირებთან ხელშეკრულებებით;
- მოდულის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით;
- პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებლების პირადი საქმეებით;
- დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- პრაქტიკის გარემოს მონახულებით და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით;
- ბიბლიოთეკის დათვალიერებით და ბიბლიოთეკართან გასაუბრებით;
- სასწავლო ცხრილების შემოწმებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან მემორანდუმებით.

**შეფასება:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**3** ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების სასწავლო პროცესის და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი, რომელიც უზრუნველყოფს საქმიანობის დაგეგმვის, მართვის, მონიტორინგისა და განვითარების პროცესებს. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევას, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან და სხვ. ასევე დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი შემუშავებულია ხარისხის ციკლის მიხედვით დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე, რაც უზრუნველყოფს პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის, სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგისა და განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

ხარისხის განვითარების ხელშეწყობას. წარმოდგენილ იქნა მასწავლებელთა და ადმინისტრაციის თანამშრომელთა თვითშეფასებისა და კმაყოფილების კვლევის ანგარიშები. **ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

**2.** დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია, ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციებიც ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას  პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის შედეგად. შიდა მექანიზმებით გათვალისწინებულია პროგრამების მონიტორინგი და შეფასება. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე მოხდება პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად.

**ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- გასაუბრებით;
- პროფესიულ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმით(ასეა დასათაურებული დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კითხვარი)
- პროფესიული სტუდენტის თვითშეფასების ანკეტა-კითხვარით;
- კითხვარით სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნის შესასწავლად;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიით
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:



**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

**პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად**. კერძოდ: დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა სასწავლო გეგმა პროგრამის ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას.

**დუალური მიდგომით:**

- ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 96 სასწავლო კვირა
- არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 117 სასწავლო კვირა

**მოდულური მიდგომით:**

- ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 71 სასწავლო კვირა
- არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 92 სასწავლო კვირა

**ინტეგრირებული პროგრამა**

- ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 120 სასწავლო კვირა
- არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 141 სასწავლო კვირა

სასწავლო გეგმის შედგენისას დაცულია დაშვების წინაპირობები და განმეორებითი შეფასების პერიოდი, წინმსწრების მოდულის შემთხვევაში. სასწავლო პროცესი ამ გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, რაც დასტურდება მეცადინეობების განრიგით და შესაბამისი პირების ინტრვიუირებით.
**ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

2. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელის განმარტებით, ტარდება პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; კოლეჯის მიერ შემუშავებულია მექანიზმები, რომელიც გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომლის მიხედვითაც, შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად ხდება პროფესიული სტუდენტის საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმის შემუშავება, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს/ მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. ასევე სტუდენტებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ხორციელდება სტუდენტების გამოკითხვები საჭიროებებთან დაკავშირებით და ხდება შესაბამისი რეაგირება სტუდენტების მოთხოვნებზე.

**ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

**3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას**; მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა - ლექცია დემონსტრირებით, დისკუსია, პრაქტიკული სავარჯიშო, ინტერაქტიული შემთხვევის ანალიზი, პრეზენტაცია, ტექნიკური უნარის დემონსტრირება; კეთება ინსტრუქტაჟი; საველე პრაქტიკა; სიმულაცია და სხვა. წარმოდგენილი მეთოდები მოდულის განმახორციელებელ პირს შეუძლია შეცვალოს კონკრეტული საკითხის შესაბამისად მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით. სწავლის პროცესში პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულება იყენებს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, ლაბორატორიულ აპარატურას.

**ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

4. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სასწავლო პროცესის ორგანიზებას უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. აუცილებლობის შემთხვევაში სასწავლო პროცესს გეგმავს ცვლებში, სტუდენტების მოთხოვნაზე დროულად აბრუნებს უკუკავშირს. უზრუნველყოფს დროულად ცნობების გაცემას.

**ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;** დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება:

- **პრაქტიკული კომპონენტი:** ფიზიკური პირი - ომარ ქუცნაშვილი (დაბა თიანეთი, სოფელი ხოფცა) რომელიც უზრუნველყოფს 15 პროფესიული სტუდენტის მიღებას პროგრამის ფარგლებში.

**ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია.**

6. საგანმანათლებლო პროგრამა „მეხილეობა“ ხორციელდება როგორც კოლეჯის A,B,C გარემოში, ასევე პრაქტიკის ობიექტებზე. კოლეჯში დაცულია შრომის უსაფრთხოების ნორმები, კოლეჯს ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, სისტემატიურად ტარდება გეგმით გათვალისწინებული ინსტრუქტაჟები, რისკების შეფასება, დაწესებულებას აქვს შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის პოლიტიკა. კოლეჯში განთავსებულ ლაბორატორიაში გამოკრული იყო სათანადო შრომის უსაფრთხოების წესები. წარმოდგენილი იყო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და მათი გამოყენების წესები.

**ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით მეხილეობა“
- სასწავლო გეგით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- ფაქტობრივი გარემოებითა და ინტერვიუირების შედეგებით პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან;
- ადმინისტრაციის და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან გასაუბრებით;
- ფიზიკური პირი -  ომარ ქუცნაშვილი (დაბა თიანეთი, სოფელი ხოფცა).

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2.შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.

კოლეჯში შეფასების პროცესს არეგულირებს რამდენიმე დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი:

- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი";
- „შუალედური შეფასების ჩატარების წესი და პირობები მოდულურ, დუალურ და ინტეგრირებულ პროგრამებზე";
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი";
- პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის წარმოების წესი

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გამოიყენოს შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. გასაუბრების დროს დადგინდა რომ იმ მოდულების შემთხვევაში , რომელიც წარმოადგენს სხვა მოდულებზე დაშვების წინაპირობას, სტუდენტს განმეორებითი შეფასებისათვის ეძლევა ერთი კვირა. განსხვავებულია შედეგის გაცნობის პირობებიც. თუ მოდული სხვა მოდულის დაშვების წინაპირობაა, სტუდენტს შეფასება ეცნობება საგამოცდო თარიღიდან ორი დღის ვადაში. თუ არ არის დაშვების წინაპირობა- 1 კვირის ვადაში.

შეფასების პროცესამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

წარმოდგენის შემდეგ, სასწავლო პროცესის მენეჯერი ვალიდაციის პროცესში რთავს პროგრამის ხელმძღვანელს ან სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს, რომლებიც ახორციელებენ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას. სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელი - შინაარსობრივი მხარის ვალიდაციას.

ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესი. დაწესებულებამ წარმოადგინა ვალიდაციის ჩეკ-ლისტები და პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ შეფასების ინსტრუმენტის განვითრებისათვის მასწავლებლები ამოწმებენ ერთმანეთის შეფასების ინსტრუმენტებსაც. ამითი ხდება ერთგვარი გამოცდილების გაზიარებაც და ინსტრუმენტის დამატებითი რევიზია.

შევსებული შეფასების ინსტრუმენტები ინახება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში. შეფასების უწყისი ინახება უვადოდ. კოლეჯმა წარმოადგინა მტკიცებულებების და უწყისების აღრიცხვის დოკუმენტაცია. აღნიშნული პროცესები მიმდინარეობს რეგულაციის შესაბამისად.

**ინდიკატორი 2.4.2.1. დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

2. დაწესებულების მიერ განსაზღვრულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიღწევების შეფასების ინსტრუქცია, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით კონკრეტული პროგრამის ფარგლებში გამოყენებული იქნება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებისა და ზოგადად შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წლის 20 იანვრის ბრძანება ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის N04-26 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ , სადაც მუხლი N5 არეგულირებს ვერიფიკაციის პროცესს. პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს. იგი უფლებამოსილია თვითონ განახორციელოს ვერიფიკაციის ის ნაწილი, რომელიც არ მოითხოვს დარგის კომპეტენციას. ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შესაძლებელია შევიდნენ: დარგის ექსპერტი; პროფ.განათლების მასწავლებელი; მოწვეული პირი, ან სხვა კომპეტენტური პირი, რომელიც არ მოდის ინტერესთა კონფლიქტში. აღნიშნული რეგულაციის შესაბამისად შემუშავებულ იქნა ვერიფიკაციის გეგმა (2022), რომლის თანახმად, სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში 2022 წლის სექტემბერში ჩატარდა თიანეთის ფილიალში „მეხილეობა“ მიმართულებით ვერიფიკაცია. აღნიშნული პროცესი განხორციელდა კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ. ვერიფიკაციის პროცესმა მოიცვა სამივე მიმართულება: შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია; შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია; შეფასების პროცესის ვერიფიკაცია. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენლ იქნა პროგრამისათვის „მეხილეობა“ ვერიფიკაციის მასალები, ვერიფიკაციის ანგარიში, რომელიც მოიცავდა სარეკომენდაციო ნაწილსაც.

**ინდიკატორი 2.4.2.2 შესაბამისობაშია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

**3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.** დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის წარმოების წესი.“ შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულებები დაცული აქვს ინდივიდუალურ საქაღალდეებში რომელსაც დართული აქვს უწყისების და მტკიცებულებების აღრიცხვის ფურცელი. დაწესებულებას აქვს შემუშავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. უწყისები ინახება სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის მინიჭებამდე/სტატუსის შეწყვეტამდე, რის შემდეგაც სასწავლო პროცესის მენეჯერი უწყისებს გადასცემს კოლეჯის საქმისმწარმოებელს, რომელიც მათ შენახვას უზრუნველყოფს უვადოდ. დაწესებულებამ წარმოადგინა შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულებები, რომლებიც აღრიცხული იყო სათანადო წესით და განთავსებული იყო ცალკეულ საქაღალდეებში, შესაბამისი ეტიკეტებით.

**ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისობაშია, პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

**4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**
დაწესებულებაში შემუშავებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. ამ დოკუმენტით ორგანიზებულია სასწავლო პროცესი. რეგულაციებით გაწერილია ყველა პროცესი. პროგრამის განმახორციელებელი პირების განცხადებით, შეფასების შედეგების ანალიზი ეხმარებათ შეფასების პროცესის შემდგომი განვითარებისთვის. პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციებს. შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება სისტემატურად და შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. განმავითარებელი შეფასების შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს, რის საფუძველზეც პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.
**ინდიკატორი 2.4.2.4 შესაბამისობაშია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**
- პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- „შუალედური შეფასების ჩატარების წესი და პირობები მოდულურ, დუალურ და ინტეგრირებულ პროგრამებზე“;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი“;
- პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის წარმოების წესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:



- ვიზუალური დათვალიერებით;
- სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან და მოდულის განმახორციელებელ პირებთნ გასაუბრებით;
- ბრძანება ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმით და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიღწევების შეფასების ინსტრუქციით.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

29.05.2023

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ხელმოწერები:

